პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 140 (12054) | ოთხშაბათი, 21 ივნისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

პარტიულ პროპაგანდას — ფართო გაქანება!

ოთხ თვეზე ნაკლები დარჩა სკკპ XXII ყრილობამდე. ჩვენი დიდი საშობლოს ყოველ კუთხეში — ციმბირში თუ ბალტიისპირეთში, შუა აზიაში თუ ამერიკაკავკასიაში — ჩქეფს ყრილობის შესახვედრი სოციალისტური შეჯიბრება, ყველგან და ყველფერში იგრძნობა მძლავრი გაქანება.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. თათბირზე მოსმენილ მოხსენებებსა და გამოსვლებში ლაპარაკი იყო იდეოლოგიური მუშაობის იმ კონკრეტულ ამოცანებზე და მძლავრ გაქანებაზე, რითაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უნდა შეხვდეს სკკპ XXII ყრილობას.

გუშინ პრესაში გამოქვეყნდა საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. პლენუმის გადაწყვეტილებით უახლოეს ხანებში პრესაში დაიბეჭდება სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტები სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატების და ყველა მშრომელის მიერ საყოველთაო განხილვისა და გაცნობისათვის. ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტების განხილვა და გაცნობა მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე აყენებს თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, იდეოლოგიური დარგის მუშაკებს.

დიდი ამოცანებია დასახული იდეოლოგიური მუშაობის გადამწყვეტი რგოლის — პარტიული პროპაგანდის წინაშე. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა პოლიტიკური განათლების სისტემაში 1960-1961 სასწავლო წლის შეჯამება. თბილისის, ჭუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის, ახალციხის, ზუგდიდისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში არსებული წრეების, პოლიტსკოლების, სემინარების, საღამოს უნივერსიტეტების მუშაობის შედეგები გვიჩვენებს, რომ კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდა უფრო ცოცხალი და მრავალფეროვანი გახდა, ამაღლდა მისი ქმედითობა, მთარგანზებელი და მამობილიზებელი როლი.

გაძლიერდა ყურადღება სკკპ ისტორიის, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდის ისტორიის, აგრეთვე მარქსისტული ფილოსოფიის, ჩვენი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მომძე სოციალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლისადმი.

პოლიტიკური განათლება უფრო მიზანსწრაფული, ცხოვრებასთან დაკავშირებული გახდა. დაგროვდა პროპაგანდისტული მუშაობის მდიდარი გამოცდილება, გამრავლდნენ პროპაგანდისტული მუშაობის თავისებური შუქურები.

ამასთან ერთად, საერთო წარმატებების ფონზე ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში იყო ჩრდილოვანი მხარეებიც. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში საკმაო ყურადღება არ ექცეოდა პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად თეორიული კონფერენციების, ლექციებისა და სხვა ღონისძიებათა მოწყობის საქმეს.

ტყვარჩელის პარტიულ ორგანიზაციაში სასწავლო წელი ისე დამთავრდა, რომ პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეთა დასახმარებლად ერთხელაც არ გაუმართავთ თეორიული კონფერენცია. ასევე შეიძლება ითქვას ბოგდანოვკის, მარნეულისა და აბაშის რაიონებზე.

პოლიტიკური განათლების სისტემაში სასწავლო წელი რომ დამთავრდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დაიწყო არდადეგები და შეიძლება გულხელდაკრეფილნი ვიყოთ ახალი სასწავლო წლის დასაწყისამდე. პოლიტიკურ სწავლებაში არ არსებობს არდადეგები. ახლა განსაკუთრებით უნდა გავაძლიეროთ ლექციური პროპაგანდა, უფრო მოქნილი გავხადოთ პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაობა, მოვაწყოთ თეორიული კონფერენციები, გასაუბრებები, სასწავლო წლის მანძილზე შეძენილი დადებითი მუშაობის გამოცდილების განზოგადება. საჭიროა, რომ ლექტორები, პოლიტიკური მომხსენებლები გამოდიოდნენ აქტუალურ პოლიტიკურ, სამეურნეო, მორალურ-ეთიკურ თემებზე.

პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უნდა მიმდინარეობდეს პროპაგანდის გავლენის სფეროს სულ უფრო გაფართოების ნიშნით, უნდა მოვაწყოთ იგი კიდევ მეტი გაქანებით, ვიდრე შარშან. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული პროპაგანდის ქმედითობა განისაზღვრება მისი შინაარსით, მისი მასობრივობით. რაც უფრო მეტი მასები მოექცევიან პარტიის ყოველდღიურ იდეურ-პოლიტიკურ გავლენაში, მით უფრო საგრძნობი იქნება ამ აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები, მით უფრო ამაღლდება მისი, როგორც კომუნისტური მშენებლობის მძლავრი ფაქტორის, როლი.

ცხადია, ეს უბრალო ამოცანა როდია. მისი წარმატებით გადაჭრა ყველა პარტიული მუშაკისაგან, აქტივისა და უწინარეს ყოვლისა პროპაგანდისტებისაგან დიდ და ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს. უნდა ვიზრუნოთ მასობრივ პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შემდგომი სრულყოფისა და იდეური შინაარსისათვის. ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ მასობრივი პროპაგანდის ყველა ფორმა და აღვზარდოთ საბჭოთა ადამიანები მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების სულისკვეთებით, კომუნიზმის დიადი საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ამ ერთი თვის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადების გაუჯობესების ღონისძიებათა შესახებ". დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე პირობებში პროპაგანდისტთა შერჩევის, სწავლებისა და აღზრდის საქმის ძირეული გაუჯობესება მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობის პირობაა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დადგენილებით დასახა პროპაგანდისტთა კადრების ახალი კონტინგენტების შერჩევისა და მომზადების საქმის გადაჭრით გაუჯობესების კონკრეტული გზები. რომლებიც სავსებით შეესაბამება თანამედროვე პირობებს.

პარტიის რაიონული, ხაჭალაქო, საოლქო კომიტეტები მოვალენი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ღრმად შეისწავლონ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და გადამზადების მდგომარეობა და მის მიხედვით ადგილზე დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი. ამასთან არსებითად გაუმჯობესონ პარტიის რაიკომებთან, საქალაქო კომიტეტებთან და მხზვილ საწარმოთა პარტკომებთან არსებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია.

უნდა გავაძლიეროთ პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების როლი პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობაში. ავამაღლოთ პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების მნიშვნელობა პროპაგანდისტთა კადრების მომზადების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

პროპაგანდისტთა შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობას უნდა ვეწეოდეთ ყოველდღიურად და განსაკუთრებით ამჟამად, როცა ვემზადებით ახალი სასწავლო წლისათვის პოლიტიკური განათლების სისტემაში, რომლის ძირითადი შინაარსი იქნება პოლიტიკური სწავლების ყველა რგოლში XXII ყრილობის მასალებისა და სკკპ ახალი პროგრამის შესწავლა.

ამჟამად, სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყველა ღონისძიებით კიდევ უფრო მიზანსწრაფული, ცხოვრებასთან დაკავშირებული გახადონ პარტიული პროპაგანდა და მისცენ მას ფართო გაქანება.



საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხელმძღვანელოთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული კრაკტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30 გვ. 488.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

ჭიათურელი პატრონელები

ჭიათურა. (საკ. კორ.) მარგანეტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნო მძლავრი საწარმოა მარგანეცის ქალაქში. იგი აღჭურვილია ახალი ტექნიკით, მას ჰყავს კვალიფიციური ადამიანები, ტექნიკას დაუფლებული კადრები. აქ ამზადებენ საკმაოდ რთულ დანადგარებსა და მექანიზმებს მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკებისათვის, სამაგირო გზებისათვის. აქ ახლაც სრულდება ბორჯომის, ამასთუმნის, მწვანე კონცხის სახალხო საჰაერო-სამაგირო გზების შეკეთება.

აქაური ხარატები, ზეინკლები, შემდუღებლები, მსმელები, მჭედლები იბრძვიან ტექნიკური აზრის წინსვლისა და ყოველივე ახლის დანერგვისათვის.

ცნობილია, რაოდენ პროგრესული და პერსპექტიულია ელექტროშედუღების პატონის მეთოდი. ამით ჭიათურელი შემდუღებლები ჯერ კიდევ შარშან დაინტერესდნენ. აქედან დელეგაცია გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის დიდ ქარხნებში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მთავარი მექანიკური სახელოსნოს მთავარი ინჟინერი დ. ჩიხლიძე. იგი იყო კიევშიც ელექტროშედუღების პატონის სახელობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. გაეცნო ელექტროშედუღების უახლეს მიღწევებს, ესაუბრა ამ საქმის გამოჩენილ სპეციალისტებს, მიიღო რჩევა-დარიგება, შეიძინა ამ მეთოდთან დაკავშირებული ლიტერატურა. კიევის ინსტიტუტის დახმარებით ჭიათურელებმა მიიღეს ელექტროშემდუღებელი აპარატი, დამბარე მასალები.

ახალი მეთოდის დანერგვას სათავეში ჩაუდგა ინჟინერი დ. ჩიხლიძე. მან ახალგაზრდებს ტ. გაგნიძეს და ვლ. დურმიშიძეს საფუძვლიანად შეასწავლა ელექტროშედუღების პატონის მეთოდი. ახლა ისინი საუცხოოდ მუშაობენ. მათ მაღალხარისხოვნად შეადუღეს და აღადგინეს მაღაროს ელმავლების, დიდი ვაგონების, მადნის სატვირთავი მანქანების ღერძები და გოგორწყლები, ეს მეთოდი ძალიან ზოგავს ლითონს, ოთხჯერ აძცირებს ღირებულებას.

ჭიათურელ პატონელთა რიგები იზრდება.

ვაშაძის ბრიგადის მაგალითით

გაგარინის გამომუშავებას ეკონომიურ ფონდში შევიტანთ

ი. გაგარინმა კოსმოსში თავისი ისტორიული გაფრენით ჩვენი ხალხი აღაფრთოვანა.

— შრომაში, სწავლაში და ყოფაცხოვრებაში ვიყოთ ისეთივე მამაცნი, როგორიც არის ი. გაგარინი! — ასეთია დევიზი ჩვენი, ამერკაკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს ერთ-ერთი კომპლექსური ბრიგადის წევრებისა. ჭიათურელი მშენებლის თ. ვაშაძის ბრიგადის მაგალითისამებრ ჩვენს ბრიგადაში საპატიო წევრად შევიყვანეთ საბჭოთა კავშირის გმირი ი. გაგარინი.

ი. გაგარინი ჩვენი ბრიგადის ოცდამესამე წევრია. ბრიგადაში სხვადასხვა თანრიგის მშენებლები არიან. გადავწყვიტეთ ი. გაგარინს მივანიჭოთ უველაზე მაღალი თანრიგი და მას ანგარიშზე მიღებული გამომუშავება შევიტანოთ რესპუბლიკის ეკონომიურ ფონდში.

შეიძლება წინასწარ გავაკეთოთ საგარაუდო გაანგარიშება, თუ რამდენ ეკონომიას მივცემთ ყოველწლიურად საამშობლოს.

თუ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ბრიგადის მაღალი თანრიგის წევრის საშუალო თვიური გამომუშავება 120-130 მანეთს შეადგენს, ეს იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლოს ი. გაგარინის ანგარიშზე ეკონომიურ ფონდში შევიტანთ 1.320-1.430 მანეთს.

ახლა ისმება კითხვა. კონკრეტულად რა გზით შეიძლება ამ თანხის შექმნა?

მე მგონია, ეს თანხა უნდა შეიქმნას მშენებლობის პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების გზით. შეიძლება სხვა ფაქტორების ამოქმედებაც. მეტად უნდა ვიზრუნოთ შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის, საშენი მასალების ეკონომიურად ხარჯვისათვის, მშენებლობაში ახალი ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისათვის.

ჩვენმა ბრიგადამ მაისში, როცა თვიური გეგმა 147 პროცენტით შესრულა, დაამთავრა სამონტაჟო სამუშაოები 58 და 61 კვარტალებში. პირველი ივნისიდან ვმუშაობთ 81 კვარტალში. აქ ახლა ერთდროულად შენდება 80 საცხოვრებელი სახლი. მათი დამთავრების შემდეგ ეს კვარტალი ინდუსტრიული ქალაქის რუსთაველ ერთ-ერთი კეთილმოწყობილი, ლამაზი კუთხე გახდება.

რუსთაველ მშენებლების წინაშე დიდი ამოცანები დგას. მიმდინარე შვიდწლედში ჩვენი სახელოვანი მეტალურგებისათვის, ქიმიკოსებისათვის და ქალაქის სხვა მშრომელთათვის ერთ ადგილზე ახალი, კეთილმოწყობილი ბინა უნდა ავაშენოთ. შევიყვანეთ ი. გაგარინი ჩვენი ბრიგადის საპატიო წევრად და ვიკისრეთ, რომ ყოველდღიურად ორმაგად შეასრულოთ საწარმოო დავალება, გვინდა მოწოდებით მივმართოთ უწინარეს ყოვლისა რუსთავის ახალგაზრდა მშენებელთა ბრიგადებს შეიყვანონ ი. გაგარინი თავიანთი ბრიგადების წევრად. ამით, ვფიქრობთ, დიდ წვლილს შეიტანთ საყოველთაო-სახალხო საქმეში, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამის ვადამდე შესრულების საქმეში.

შ. მოდებაძე,
ამერკაკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის წევრი.

ურთიერთგაგება, თანამშრომლობა

მოსკოვი, 19 ივნისი. (საკ.ფილ). დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და ძმური თანამშრომლობის ვითარებაში.

დღეს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიური, და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ვ. ალექსეენკომ;

ჩინეთის მხრივ — ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გუ ჯო სინმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ უ ხენმა.

ხელის მოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლუი სიაო და სხვა ოფიციალური პირნი.

იური გაგარინის გულითადი შეხვედრა

ბეჟეტსკი (სმოლენსკის ოლქი), 19 ივნისი. (საკფილ). დიდი გულითადობით თავის თანამოქალაქეს, პირველ საბჭოთა კოსმონავტს იური ალექსის-ძე გაგარინს, ქალაქი შეიმკო ალმებით, ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილია მისალმება გმირისადმი. მაგის სახლში, სადაც გაჩერდა გაგარინი, მოდიოდნენ ამხანაგები, მასთან ერთად რომ სწავლობდნენ, მეზობლები.

ჩამოსვლის დღეს ქალაქის პარკში გაიმართა მრავალათასოვანი მიტინგი. ყვავილების თაიგულებით ეროვდნენ აქ ქალაქის მცხოვრებლები, ჩამოვიდნენ ახლო-მახლო სოფლების მინდვრების მშრომელები. საბჭოთა ქვეყნის ლეგენდარულ შვილს, მას დედამამას მიესალმნენ სკკპ გეტსკის რაიკომის მდივანი ნ. ფედორენკო, მასწავლებელი ლ. ბესპალოვი, რაიონშიგნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ი. დენისენკოვი და სხვ.

იური გაგარინმა გულითადი მადლობა გადაუხადა თავის თანაქალაქელებს მეგობრული, გულთბილი შეხვედრისათვის, მოუთხრო მათ თავის გაფრენაზე.

დღეს ი. გაგარინი ეწვია გეტსკის საშუალო სკოლას, რომელიც მას სახელს ატარებს აქ იგი შეხვდა თავის მასწავლებლებს.

გულითადი იყო შეხვედრა მინდვრების მშრომელებთან სოფელში, სადაც დაიბადა კოსმონავტი.

ინიციატორი

არა მარტო ზუგდიდის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში წელს ცნობილი გახდა მერი ქარდავას სახელი. ამ გოგონამ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო მშობლიური სოფლის — რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში".

მისი პირველი წარმატება აღინიშნა 1959 წელს, როცა 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 3.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 1960 წელს ეს მაჩვენებელი 4.000 კილოგრამამდე აიყვანა. წელს კი შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა — რესპუბლიკის მეჩაიეებს მიმართა მოწოდებით: ყოველ ჰექტარზე მოკრიფონ 500 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან.

ახლა მერი ქარდავას მაგალითით ასობით მეჩაიე ბეჯითად შრომობს. თვითონ მერი იბრძვის ნახევარ ჰექტარზე 5.500 კილოგრამი ჩაისათვის.

• • •

სურათზე: მერი ქარდავა.
ფოტო ბ. სოკოლოვისა.

საბჭოთა საქართველოს დღე

მოდის თამგაჟის მოსავალი

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ლაგოდეხელი მეთამბაქოეები წლევანდელ უამინდობას ბეჯითის შრომით სძლევენ. მეუყათობამ სასიხარულო შედეგი გამოიღო. თამბაქო კარგად ვითარდება, მოსავალი შარშანდელთან შედარებით გაცილებით უფრო ადრე შემოვიდა.

თამბაქოს პლანტაციებში მოსავლის აღება გაჩაღდა. სოფელ ორკონაკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ზ. მუმლაძემ შეტეხა და ანემსა 1.510 ზონარმეტრი თამბაქო. დაწინაურდნენ კოლმეურნეები ვ. ბიჭაშვილი და ი. მაისურაძე.

თამბაქოს მოსავლის აღებას შეუდგნენ აგრეთვე ლელიანის, ნინოგორის, ბაისუბნის, ჯაბუკიანისა და სხვა კოლმეურნეობები.

რაიონში უკვე შეტეხილი და ანემსილია პირველი ხუთი ათასი ზონარმეტრი თამბაქო.

17 დღით ადრე

ქობულეთის რაიონის ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ 17 დღით ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მეურნეობის კოლექტივმა მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩაბარა 1.280 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 1.241 ტონისა.

თავი გამოიჩინეს მეხუთე და მეექვსე აგროგანყოფილებებმა, რომლებსაც შეექრი ბინიკაძე და პარმენ თავართქილაძე ხელმძღვანელობენ.

მეურნეობის კოლექტივმა იკისრა ივნისის ბოლომდე კიდევ მოკრიფოს 250 ტონა ჩაის ფოთოლი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის" საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის" საპატიო წოდება მიენიჭებათ სატყეო მეურნეობების, სანერგეების, ქარსაცავების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო დაწესებულებებს, ტყის მოწყობისა და სხვა სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მეტყევე სპეციალისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს სულ ცოტა 15 წელი და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვიან რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1961 წ. 8 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის" საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის" საპატიო წოდება მიენიჭებათ ბიბლიოთეკების დირექტორებსა და გამგეებს, ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, აგრეთვე ინსპექტორებსა და მეთოდისტებს საბიბლიოთეკო საქმეში, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს სულ ცოტა 15 წელი და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პრაქტიკული საქმიანობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1961 წ. 10 ივნისი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ერაყის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში აგდელ ვაჰაბ მაჰმუდი

20 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ერაყის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში აბდელ ვაჰაბ მაჰმუდი საბჭოთა კავშირიდან მისი მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ფინელი კომუნისტები თბილისში

17 ივნისს თბილისს ჩამოვიდა ფინეთის კომუნისტური პარტიის აქტივისტ წევრთა დელეგაცია ამხანაგ ვეიკო ხაუხიას მეთაურობით. თბილისის ვოგზალში სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი გ. დ. თავმამიშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ო. ს. კერძაია, გ. ა. ბუეგულაშვილი და სხვები.

ფინელმა სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქალაქი, იყვნენ ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში, იმოგზაურეს „თბილისის ზღვაზე", ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ ბალეტ „ოტელოს". სტუმრებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის სპორტის სასახლემ.

19 ივნისს ფინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა პ. ვ. კოვანოვმა და გ. ნ. ჯიბლაძემ. (საკფილ).

ახალი სამყაროს მქადაგებელი

ა. მ. გორკის გარდაცვალების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში

წარსულისა და აწმყოს დიდ ადამიანთა სახელებს შორის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის სახელი ხალხის მეხსიერებაში სამარადისოდ დარჩება, როგორც ერთერთი ყველაზე მახლობელი და საყვარელი ადამიანის სახელი.

19 ივნისს სსრ კავშირის დიდ თეატრში დიდი პროლეტარული ჩქერლის ხმოვნის პატივსაცემად მოვიდნენ ლიტერატორები, შრომის, მეცნიერების, ხელოვნების ადამიანები. ალისფერი ქსოვილებითა და ყვავილებით მორთულ სცენაზეა პორტრეტი, რომელზეც აღბეჭდილია ლენინი მაქსიმეს-ძის სახე — ისეთი, როგორიც ახსოვს იგი დარბაზში მყოფ ბევრ ადამიანს. პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს ცნობილმა საბჭოთა მწერლებმა, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, სტუმრებმა, მწერლის ნათესავებმა და მახლობლებმა.

დამსწრენი ჩქეხარე ტაშით შეხვდნენ ანმახნაგიბს ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. გ. იგნატოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ნ. ა. მეხიტდინოვს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ნ. პოსპელოვს, დ. ს. კოროტჩენკოს, ი. ე. კალნბერზინს, ა. ბ. კირილენკოს, ვ. ბ. მჟავანაძეს, მ. გ. პერკუხინს, გ. ი. ვორონოვს, ვ. ვ. გრიშინს, რომლებიც დარბაზში შემოვიდნენ.

საღამო გახსნა სსრ კავშირის ჩქერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა კ. ა. ფედინმა.

„ყოველი ღირსსახსოვარი თარიღის მნიშვნელობა, აღნიშნა მან, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრებასთან, პარაკობს ლიტერატურისა და ხელოვნების როლის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით ეხრდება ახლა, როცა საბჭოთა ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანები დგას, თავისი მჩქეფარე შემოქმედების მაგალითით, თავისი მარადმთავარებული მოღვაწეობით გორკი გვასწავლის დიდ პატივს ვცემდეთ ახალი სამყაროს მშენებელ პარტიას, გულმოდგინედ ვიღებდეთ მის სიტყვას და ერთგული ვიყოთ ამ სიტყვისა ჩვენს სამწერლო მოღვაწეობაში.

ჩვენთვის ყველაზე მახლობელი, საყვარელი, შესანიშნავი მწერალი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი ხელოვნების ნამდვილი რჩეული იყო. იგი იყო აგრეთვე თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ფხიზელი ადამიანი, ნათელი და მორეული გახჭვრეტის ადამიანი. დიდმა მშრომელმა იცოდა, რომ შრომის ძალები უძლეველია. და მას შეცდომა არ დაუშვია ამ ცოდნაში. ჩვენს დღეებში, როგორც ჩანს, მშრომელმა ადამიანებმა გაუსწრეს თვით მის შრომითს რშენასაც კი: საბჭოთა ქვეყნის ძალისუბნი დღეჭდე უმაგალითო ძლიერება ჩქეფს.

ახლა, საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ბარბაროსული თავდასხმის დღიდან ოცი წლისთავის წინ, თქვა დასასრულ კ. ფედინმა, დროულია ვთქვათ, რომ ზოგჯერ ახლაც, ჩვენთვის დიდად სამწუხაროდ, გვაგონდება გორკის გაფრთხილება ომის საფრთხის შესახებ, მაგრამ მარად დაუვიწყარია მისი წინასწარმეტყველება, სვეტ ალიბერჯენთან. მშვიდობა უეჭველად სძლევს ომს, და გამარჯვებას ყოველთვის მთელი თავისი შეგნებული შთაგონებით დაეხმარება ჩვენი გორკი — მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ძველ, ნაცადი, ფხიზელი და ბრძენი მებრძოლი.

შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს ი. ი. ანისიმოვს, რომელმაც ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა უდიდესი აქტუალობა ენიჭება მწერლის შემოქმედებას ჩვენს დღეებში.

სიტყვა წარმოთქვა ლ. სობოლევმა. გორკი იყო საბჭოთა ლიტერატურის დაუცხრომელი მშენებელი, თქვა მან, და ამ შრომას ჩააქსოვა მთელი თავისი უდიდესი გამოცდილება და დიდი ნიჭი. იგი იყო მწერალთა მასწავლებელი, დამრიგებელი და კეთილი მეგობარი. გორკი უდიდეს ყურადღებას უთმობდა საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების განვითარებას. მან საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის ლიტერატურების დიად მეგობრობას.

გორკის ურყევად სწამდა ხალხთა დიდი ნიჭიერება. ამ ერთ-ერთ ადამიანებს მთელ ჩვენს ქვეყანაში და ყოველთვის ხელს უწყობდა მათს ზრდას.

დანკოს გულის მსგავსად გორკის გულიც ალსავსე იყო ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულით, თქვა უკრაინელმა მწერალმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ტ. სტელმახმა. იგი დაუღალავად და უხვად თესავდა მარცვალს — რევოლუციის მარცვალს, სიკეთისა და ადამიანის სულის სიყვარულის მარცვალს. მისი ასპარეზი იყო არა პატარა ნაკვეთი, არამედ მთელი დედამიწა.

მ. სტელმახმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ დიდი ქართველი შემოქმედება მახლობელია უკრაინელი ხალხისათვის, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რომანში „დედა", როგორც ორი ძმა, მონაწილეობენ რევოლუციონერები — რუსი პაველ ვლასოვი და უკრაინელი ანდრია ნახო�o, რომ შემთხვევითი არ არის გორკისა და მიხეილ კოციუბინსკის მეგობრობა, რაც ძმობად გადაიზარდა.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო დიდი მწერლის ნაწარმოებთა ფრაგმენტები, რევოლუციური ლექსები და სიმღერები.

• • •

გორკისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები და ხსოვნის საღამოები გაიმართა ქუთაისში, ბაქოში, აშხაბადსა და სხვა ქალაქებში. (საკფილ).

ღირსეული ჯილდოები გმირობისათვის

— ჩვენი აყვავებული სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით მოვისმინე რადიოთი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჩვენი ძვირფასი ნ. ს. ხრუშჩოვის ლენინის ორდენით და „ნამგალისა და უროს“ მესამე ოქროს medlით დაჯილდოების შესახებ, — განაცხადა თბილისის სორტოქლმავლო დეპოს კომუნისტური შრომის საამქროს ოსტატმა შ. ფიროსანაშვილმა. — ყველა კარგად იცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის უდიდეს, ტიტანურ მუშაობას რაკეტული მრეწველობის შექმნისა და განვითარებისათვის, საბჭოთა ადამიანის მსოფლიოში პირველი კოსმოსური გაფრენის წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენთვის, რკინიგზელი მუშებისათვის, სასიამოვნოა აგრეთვე ვიცოდეთ, რომ საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ბრძენი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ესოდენ ბევრი შრომა მოახმარა თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოციალიზმის ეკონომიური ბაზის შექმნას, მოიპოვა დიდი ისტორიული გამარჯვება — ახალი ერა დაიწყო კოსმოსის ათვისებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ გამოვხატავ არა მარტო ჩემს აზრს, არამედ აგრეთვე ჩვენი საწარმოს ყველა მშრომელის აზრს, თუ ვიტყვი, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მუშათა კლასი ყველაფერს გააკეთებს საბჭოთა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

ვიბრძვით რა სკკპ XXII ყრილობის მრეწველობაში, წეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიღწევათა ამ მაღალი შეფასებით, რადგან დარწმუნებულია, რომ კოსმოსის სახელოვან დამპყრობთა 7 ათასიან რაზმში არიან აგრეთვე ჩვენი თანამემამულენი — კონსტრუქტორები, მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები.

ვამაყობთ იმით, რომ კოსმოსის დამპყრობთა სიაში, რომლებსაც მიენიჭათ მთავრობის მაღალი ჯილდოები, პირველია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დაჯილდოება ლენინის ორდენით და „ნამგალისა და უროს“ მესამე ოქროს medlით არის გამოვლინება საყოველთაო სახალხო სიყვარულის და მადლიერებისა შშობლიური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, რომლებიც ბეშმარიტ მამობრივ ზრუნვას იჩენენ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული და ტექნიკური აზრის აყვავებისათვის.

ქართული მეცნიერების მოღვაწეთა სახელით და პირადად ჩემი სახელით გულითადად და მხურვალედ ვულოცავ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს და კოსმოსის ყველა დამპყრობს. დაე მათი დაუცხრომელი შრომა კიდევ მრავალ წელს უხვეშდეს მსოფლიო სახელს ჩვენს სამშობლოს, ემსახურებოდეს მშვიდობის, მთელი კაცობრიობის ბედნიერების და აყვავების საქმეს. (საქდესი).

მხარს უჭერენ სერპუხოველთა თაოსნობას



ერთგული ბიჯლიოთეკა

რამდენიმე ხნის წინ გაზეთ „სოვეტსკაია როსიაში“ გამოქვეყნდა მასალები სერპუხოვის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ძვირფასი პატრიოტული თაოსნობის შესახებ. სერპუხოველები გამოვიდნენ მოწოდებით — „დღეს ნოვატორის ზღუდე ხვალ მთელი კოლექტივის ზღუდე იქნება“.

სერპუხოველთა ინიციატივა იმაში მდგომარეობს, რომ მათ მიზნად დაისახეს ნოვატორთა მაჩვენებლების დონეზე აიყვანონ რაიონის საერთო მაჩვენებლები. ნოვატორები აცხადებენ, რომ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებას იმ შემთხვევაში ჩათვლიან შესრულებულად, თუ ის ამხანაგები, რომლებიც ჩაებნენ შეჯიბრებაში, მიაღწევენ ისეთ მაღალ მაჩვენებლებს, როგორიც მოწინავეებს აქვთ.

ამ მიზნის მისაღწევად სერპუხოველი ნოვატორები საკმარისად არ თვლიან იბრძოლონ მარტო პირადი წარმატებებისათვის. ისინი ვალდებულებას კისრულობენ თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ ამხანაგებს, კონტროლი გაუწიონ მათს მუშაობას.

სერპუხოველთა თაოსნობამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ აგრეთვე მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე.

ამ დღეებში კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სერპუხოველთა თაოსნობას. მიტინგზე გამოსულმა ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, ნოვატორებმა მუშებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს პატრიოტული თაოსნობა. ბევრმა მათგანმა ვალდებულება იკისრა დეხმაროს ჩამორჩენილებს, მოწინავეთა დონეზე აიყვანოს ისინი.

— მოხარული ვარ, — თქვა ნოვატორმა ზეინკალმა, კომუნისტურ შრომის დამკვრელმა შ. ფირცხალავამ, — რომ სერპუხოველთა თაოსნობას რესპუბლიკაში პირველად ჩვენი ქარხნის კოლექტივი გამოეხმაურა. როგორც მთელ ქარხანაში, ისე ჩვენს საამქროში ჯერ კიდევ ბევრია ჩამორჩენილი მუშა, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ დავალებას. მე გადავწყვიტე ხუთი ასეთი ამხანაგი გავაერთიანო ბრიგადაში და ვალდებულებას ვკისრულობ ყრილობის დღისათვის — 17 ოქტომბრისათვის ყოველი მათგანი ასრულებდეს დღიურ დავალებებს, ხოლო წლის ბოლოსათვის მოწინავეთა რიგებში ჩავაყენონ ისინი.

მესამე საამქროში მუშაობენ რ. მამუჩაშვილისა და გ. კოკოსაძის ზეინკალთა ბრიგადები. ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ — აწყობენ სახარატო ჩარხ 163-ს. ორივე ბრიგადა შრომისმოყვარე, საქმის მცოდნე ადამიანებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ მაჩვენებლები სულ სხვადასხვა აქვთ. მამუჩაშვილის ბრიგადა სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს, კოკოსაძის ბრიგადა კი ხშირად ჩამორჩება, მუშაობას აფერხებს.

მამუჩაშვილმა თავისი ბრიგადის წევრების სახელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კოკოსაძის ბრიგადა და ვალდებულება იკისრა მოწინავეთა რიგებში ჩააყენოს იგი, დეხმაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებაში.

— დეხმართო ამხანაგებს, ისეთივე მონდომებით ვიბრძოლოთ მათი მიღწევებისათვის, როგორც საკუთარ წარმატებათა მოსაპოვებლად, ახლათა დღეიდან ჩვენი საბრძოლო დევიზი, — ასე განაცხადა მიტინგზე მესამე ამწყობი საამქროს ოსტატმა ი. ხუხია. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მეზობელი უბნის კოლექტივი, რომელსაც ოსტატი რ. ჯანიაშვილი ხელმძღვანელობს, და ვალდებულება იკისრა გაუზიაროს ამ უბნის მუშებს გამოცდილება, დეხმაროს წარმატებათა მოპოვებაში.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების მუშაკებისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ ქარხნის კოლექტივი მხურვალედ იწონებს სერპუხოველთა პატრიოტულ თაოსნობას. საწარმოს ყოველი მუშაკი ვალდებულებას კისრულობს პასუხი აგოს ამხანაგის მუშაობისათვის, სისტემატურად ხვდებოდეს მას და უზიარებდეს თავის გამოცდილებას, დანერგოს ურთიერთ კონტროლი, იყოს შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდისტი. ქარხნის ნოვატორები აცხადებენ, რომ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას მხოლოდ მაშინ ჩათვლიან შესრულებულად, როცა მათთან შეჯიბრებულებიც მიაღწევენ მოწინავეთა მაჩვენებლებს.

ჩარხმშენებლებმა მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მშრომელს მხარი დაუჭირონ სერპუხოველთა პატრიოტულ ინიციატივას, იბრძოლონ იმისათვის, რომ ცალკეული ნოვატორების მიღწევები აქციონ მთელი კოლექტივის საშუალო მაჩვენებლად.

* * *

სურათებზე (ზევიდან ქვევით): შ. ფირცხალავა, ი. ხუხია, რ. მამუჩაშვილი.

„მინდვრის დედოფლის“ სიმამაზე

მუყაით და მზრუნველ ხელს მოითხოვს სიმინდი. კარგი მოვლის პირობებში იგი უხვად აჯილდოებს მეზრომელს. ჩვენს ქვეყანაში სიმინდის დიდი მოსავლიანობით ბევრმა მოწინავემ გამოიჩინა თავი. ბეჯითი შრომითა და შეძლებადი ბითი ძიებით ამ კულტურის რეპორდულ მოსავალს მიაღწია.

(საქართველოს მოწინავე მესიმინდეთა თათბირის მიმართვიდან).

თითქოს აქ დაუბერტყავს ბუნებას თავისი სიკეთის ყანა, ასეთი შთაბეჭდილება იქმნება, როცა ეცნობი მარნეულის რაიონის „მინდვრებს“ და „ლანტაციებს“.

რა გინდა, რომ ამ მიწაზე არ ზარობდეს: ხორბალი, ქერი, ბოსტნეული, სიმინდი, ვაზი, ხეხილი... მაგრამ ყველაზე მეტი ხვედრითი წონა მაინც სიმინდის კულტურას აქვს.

მიდიხარ ყანის პირას და გიხილავს „მინდვრის დედოფლის“ სილამაზე. ნიავი ათამაშებს მცენარის ფოთლებს, ისმის შრიალი. განსაკუთრებით გტაცებთ თვალს ნაკვეთები, სადაც სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დაუთესიათ.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 2.500 ჰექტარისა, სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს 3.305 ჰექტარზე.

როცა მაღალი მოსავლის მიღებაზე ესაუბრობდნენ, ყველანი მივიდნენ ერთ დასკვნამდე. ყოველგვარი საშუალება არსებობს, რომ მაღალი მოსავალი, კერძოდ, ჰექტარზე 60 ცენტნერი მიიღონ.

ამ დღეებში პარტიის რაიკომში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საკითხი განიხილეს და ეღნიშნეს, რომ სიმინდის დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში არის გარკვეული წარმატებები. განსაკუთრებით მოიწონეს ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სიმინდის ნაკვეთები. დადებითი შეფასება მიიღო ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ და სხვებმა.

მაგრამ აქვე გააკრიტიკეს არაფლოსა და ალგეთის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორები კ. ბადალოვი და ა. ვალიევი, რომლებმაც ჯერ ვალდებულება იკისრეს მიწის გარკვეულ ფართობზე მოიყვანდნენ მაღალ მოსავალს, ხოლო ახლა შეასუსტეს ამ ნაკვეთებისადმი ყურადღება, უარს ამბობენ მიცემული პირობის შესრულებაზე.

...უაჩაღნის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ვართ. იგი ერთერთი მოწინავეა მთელს რაიონში. ტრაქტორის საჭესთან ბარჯვედ ზის კ. იუსუფოვი, სიმინდის ორმხრივ კულტივაციას ატარებს, ტრაქტორს არ აჩერებს, ისე გვაძლევს პასუხს.

აქვე გავიცანით უხვი მოსავლის ოსტატები ა. ბადალოვი და ქ. ჯაჭირი, თვითეულ მათგანს წელს სიტყვა მიუცია, ყოველი ჰექტარი მიწის ნაკვეთზე მოიყვანონ 65-70 ცენტნერი მარცვალი.

ჩვენ ვინახულეთ აგრეთვე „მინდვრის დედოფლები“ ყულარის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობასა და შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში.

მოვლა-პატრონობისა და დამუშავების მხრივ აქაურ ხელმძღვანელებს საყვედურს ვერ ვეტყვით. პირიქით, მადლობის ღირსნი არიან, რადგან მადალმოსავლიან ნაკვეთებში გაუკეთებიათ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლება უხვი მოსავლის მისაღებად.

სამწუხაროდ, რაიონის ზოგ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ვნახეთ ბევრი არასასიამოვნო ფაქტიც. მაგალითად, წერაქვის რუსთაველის სახელობის, ჩანახჩის მიასნიკოვის სახელობის და ოპრეთის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობებში მთლიანად არ დაუმთავრებიათ სიმინდის პირველი კულტივაცია, რომ არაფერი ვთქვათ მეორე და მესამე კულტივაციაზე.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გავიცანით მოწინავე მესიმინდეები, მექანიზატორები, ისინი ვიწმე თავგამოდებით იბრძვიან სიმინდის უხვი მოსავლისათვის, ვისაც უქმნეს მარკვენას, აზრს, ფონებს. აი ისინიც: ხ. მამედოვი, ს. ჰასანოვი, გ. კულიევი, ნ. ნადიროვა და მრავალი სხვა.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში წელს უნდა დამზადდეს და სახელმწიფოს ჩაბარდეს 10 მილიონი ფუთი მარცვლეული, აქედან ერთი მეათედი ნაწილი მარნეულის რაიონზე მოდის. ეს ამოცანა წარმატებით იქნება შესრულებული მაშინ, როცა 4.000 ჰექტარზე ნამდვილად იქნება მიღებული 60 ცენტნერი მარცვალი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზრუნვა სკოლებს

აწკრიალდება პირველი ზარი

დედაქალაქი კიდევ ერთ შესანიშნავ საჩუქარს უმზადებს საბჭოთალოელ მოსწავლეკ ახალგაზრდობას — საშუალო სკოლის ტიპურ შენობას რვაას ოთხმოცი მოსწავლისათვის. იგი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობა იქნება თბილისის ახალ უბანში. მას ოთხი სართული აქვს, ხოლო სარდაფები გამოყენებული იქნება სხვადასხვა სასწავლო საჭიროებისათვის. შენობა, რომელიც 820.000 მანეთი ჯდება, უკვე აგებულია. ახლა მიმდინარეობს კეთილმოწყობისა და ოპერკეთების სამუშაოები. „მთავართბილმშენის“ სამართველოს უთუოდ გამოუჩენია ზრუნვა ამ კეთილშობილური საქმისათვის — სკოლის მშენებლობა ხომ მხოლოდ შარშან აპრილში დაიწყო და აი ახლა, ივნისში, შიდა სამუშაოებიდა დარჩა. მშენებლობაზე განსაკუთრებით გამოჩინა თავი მებეტონეთა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ომარ მაისაია ხელმძღვანელობს. იგი უკვე მესამე წელია რაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩადგა მშენებელთა რიგებში.

ახლა დურგლებსა და მლესავებს მუშაობის ცხარე დღეები აქვთ. გიორგოლაშვილისა და ბერიის პონომარიოვის დურგალთა ბრიგადები ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს. მათ არ ჩამორჩებიან ლასკოვისა და პრუცკოს მლესავთა ბრიგადები.

მშენებელთა კოლექტივი (სამუშაოთა მწარმოებლები ინჟინრები ა. ტომარაძე და ს. ბაზღაძე) სკოლის მთლიანად დამთავრებას 15 აგვისტოსათვის გვპირდებიან. ამჟამად აღებული ტემპის კიდევ უფრო გაძლიერება უზრუნველყოფს პირობის შესრულებას. მხოლოდ საჭიროა მშენებელთა შეუფერხებელი უზრუნველყოფა ყოველგვარი მასალებით. ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია შეფობას იღებს ამ სკოლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე. მოსწავლეებს ექნებათ საუკეთესო სპორტული მოედანიც.

საბურთალოზე, პავლოვის ქუჩაზე, სამედიცინო ინსტიტუტის მოპავარი კორპუსის ახლოს მალე მწყობრში ჩადგება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის კიდევ ერთი კეთილმოწყობილი კერა. პირველ სექტემბერს აქ პირველად აწკრიალდება სკოლის ზარი.

ლ. ვარდუაძე,

* * *

სურათებზე: (ზევით) ახალი სკოლის მშენებლობა ბავლოვის ქუჩაზე; (ქვევით) მშენებლობის მოწინავე მუშები შ. მანთაშაშვილი და ფ. თიბილოვა.

ფოტო ბ. დადვაძისა.

მცენარე და ელექტროობა

მეცნიერება და პრაქტიკა

ვაზი ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი კულტურაა. ყურძნის მოყვანაზე გაცილებით მეტი შრომა იხარჯება, ვიდრე, მაგალითად, ხორბლის ან სიმინდის მოსავლის მიღებაზე. აქედან ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახის სამუშაოთა მექანიზაციას, რასაც ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მანქანებით სრულდება ისეთი სამუშაოები, როგორიც არის ვაზის დასარგავად ნიადაგის მომზადება (პლანტაჟი), კულტივაცია და სხვ.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება როგორც ყურძნის მოსავლიანობა, ისე ვენახების ფართობი. საქართველოში დღემდე არსებული 83 ათასი ჰექტარის ნაცვლად გათვალისწინებულია მომავალში ვენახის ფართობი გადიდდეს 200 ათას ჰექტარამდე.

ამ საპატიო ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს ვაზის ხარისხოვანი ნერგის გამოყვანას. როგორც ცნობილია, საქართველოში ვენახებს ყველგან მხოლოდ ფილოქსერაგამძლე საძირეზე ოამყნილი დაფესვიანებული ნერგებით აშენებენ. საძირე ვაზი კი ძნელად ფესვიანდება და ამის გამო ვაზის ნერგის გამოსავლიანობა დაბალია, ხარისხოვან სარგავ მასალას მხოლოდ 30-40 პროცენტს ვიღებთ.

წინათ გავრცელებული იყო სარგავი მასალის კანის აფცქვნა რქის ბოლო ნაწილზე და ვაზის დაბეგვა. ამით აღიზიანებდნენ სარგავ მასალას, ხდებოდა ფესვთა სისტემის გაძლიერებული წარმოშობა. მაგრამ მრავალი წლის დაკვირვებით დადგინდა, რომ რქის მექანიკურად დაზიანება ზოგჯერ იწვევდა ლპობას, ვაზის სოკოვან დაავადებას და შემდეგ გაბმობას.

ამ მხრივ ყურადღების ღირსია აგრონომ ი. წერეთლის მიერ შექმნილი სპეციალური ელექტრომოწყობილობა. რადგანაც წლის მუშაობის შედეგად ამხ. წერეთელმა შეიმუშავა ელექტროენერგიის გამოყენებით ვაზის სარგავი მასალის მიღების ახალი მეთოდი.

მყნობისათვის მომზადებული ფილოქსერაგამძლე საძირე მასალა (უნდა იყოს ცივ წყალში დამბალი და კვირტებგაცლილი) მყნობის ოპერაციის ჩატარებამდე თავსდება ამ საქმისათვის განკუთვნილ ელექტროაგრეგატში, რომელიც შედგება ძირითადად ორი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია ტრანსფორმატორი „ლატრი 2“ მარკისა და აქვე დაყენებულია ვოლტმეტრი. მეორე განყოფილებაში დადგმულია მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი, რომლის საშუალებითაც წარმოებს 220 ვოლტის აწევა ხუთი ათას ვოლტამდე. აქვე მოწყობილია სარგავი მასალის დასამუშავებელი კამერა, სადაც იქმნება ელექტროველი და მასში 5-7 წამით წარმოებს ფილოქსერაგამძლე ვაზის რქის ელექტროდამუშავება. საძირე მასალის ელექტროველში გატარების შემდეგ ხდება ჩვეულებრივი მყნობა სათბურებში გატარებით. ახალი მეთოდი სწორედ ამით განსაზღვრება. რაც შეეხება ვაზის მყნობის დანარჩენ ოპერაციებს, ისინი უცვლელი რჩება და წარმოებს დღემდე მიღებული წესით.

დადგინდა, რომ ვაზის ელექტროსტიმულირების შედეგად სანერგიდან პირველი ხარისხის ვაზის ნერგს ვიღებთ 60-70 პროცენტს ნაცვლად ჩვეულებრივი მყნობის დროს მიღებული 30-40 პროცენტისა.

ნამყენი ვაზის ნაცვლად სადედეების გასაშენებლად ფილოქსერაგამძლე ვაზის ნერგის გამოყვანა ელექტროველში იმავე წესით ხდება, მხოლოდ ელექტროდასამუშავებელი ფილოქსერაგამძლე ვაზის რქებს წინასწარ აცლიან ყველა კვირტს ვარდა ზემო ერთი კვირტისა. სარგავ მასალას 5-7 წამით ათავსებენ ელექტროველში 5 ათასი ვოლტის სიმძლავრისას და ელექტროგაღიზიანების შემდეგ სარგავი მასალა დასაფესვიანებლად გადაალაგებენ. ამ მეთოდით ფილოქსერაგამძლე პირველი ხარისხის ნერგების გამოსავლიანობა მნიშვნელოვნად დიდია ვიდრე ჩვეულებრივი წესით დაფესვიანების დროს.

თუმცა დაწერილებით არ არის შესწავლილი, მაგრამ როგორც ირკვევა, მაღალი ძაბვის ელექტროველში ვაზის კალმების დამუშავების დროს ხდება მცენარის უჯრედთა დაყოფა და გაკეთების პროცესები. გარდა ამისა, ელექტროგაღიზიანების გამო ვაზის კალმებში ხდება ენერგოპლასტიკური ნივთიერებათა გაძლიერებული მობილიზება, რაც ხელს უწყობს ფესვთა სისტემის ჩანასახების სწრაფ წარმოშობას.

ვაზის ელექტროსტიმულირების მოწყობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მისი მოწყობა შეუძლია ყველა კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას, დაკავშირებული არ არის რაიმე დიდ დანახარჯებთან (დაჯდება დაახლოებით 200-300 მანეთი (ახალი ფულით).

ნამყენი ვაზის ელექტროსტიმულირების ეს ახალი მეთოდი განხორციელდა მცენთისა და ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში და მცხეთის საბჭოთა მეურნეობის სანერგეში.

შ. ბოჭოეა.

ცალხი ვერ მოითმენს უსაქმურობას

რა საშუალებით, ვის ხარჯზე?

ვვ წლის კაცია დავით მოშიაშვილი, მისი ბიოგრაფია სოფელ ქვედა ვანიდან იწყება, სადაც აიდგა ფეხი და „გამჭრიახი“ თვალით შეხედა ცხოვრებას. არაფერი ისე არ მოსწონებია დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულს, როგორც უზრუნველად სართულების მეუფეობა და მსუბუქი ავტომანქანებით ნავარდი. სწორედ ამ რწმენით დაიწყო მისი „საქმენი საგმირონი“.

1949 წელს დ. მოშიაშვილი ქ. ცხაკაიაში გადმოვიდა საცხოვრებლად. მოკალათდა გორკის ქუჩა № 2-ში, ხელად მოეწყო მაღაზიის გამგედ. შემდეგ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საფეიერო საამქროს საწყობის გამგედ დაიწყო მუშაობა. ბედს არ უმუხთლია დავითისათვის. საწყობში მუშაობის დროს ბლომად დააგროვა ქონება და შნოიანადაც მოიხმარა.

1959 წლის 9 მარტს პარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიუროზე განიხილეს საქსოვ საამქროში ჩატარებული რევიზიის შედეგები. დანაშაული არც თუ მცირე აღმოჩნდა. დატრიალდნენ საამქროში მოკალათებული კომბინატორები, მაგრამ ამაოდ... ბიუროს სამართლიანად იმსჯელა და გამოიტანა ასეთი დადგენილება: „დაეკალოს რაიმრეწკომბინატის დირექტორს სამუშაოდან მოხსნას საქსოვი საამქროს გამგე ბ. შამელაშვილი და ამავე საამქროს საწყობის გამგე დ. მოშიაშვილი უხვნი დარღვევებისა და არასწორი ოპერაციებისათვის, ხოლო მათი პასუხისგებაში მიცემის საკითხი გადაწყდეს რევიზიის დამთავრების შემდეგ“.

რაიკომის ეს დადგენილება დარჩა ქაღალდზე, იმ შესწორებით, რომ საამქროს გამგე ბ. შამელაშვილი „მუშად“ გააფორმეს. ასევე „დასაჯეს“ დ. მოშიაშვილიც.

მოკლე დროში დ. მოშიაშვილი ისე მომძლავრდა, რომ ორსართულიანი ორბინიანი სახლის მშენებლობას შეუდგა. ეს მშენებლობა დაიწყო 1958 წლის ოქტომბერში. სამშენებლო მასალების ადგილზე მოზიდვის საქმეც მოაგვარა. სამტრედიის რაიკავშირის სამეურნეო მაღაზიიდან 4.966 მანეთად ღირებული 645 ცალი თეთრი თუნუქი დათრია. ხერხიან კაცს აღარც აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში უთხრეს უარი, რომ ნოსირის აგურის ქარხნიდან მიეღო 10 ათასი ცალი აგური.

აი რას კითხულობთ დ. მოშიაშვილის მიერ სახლის მშენებლობაზე შეკოწიწებული ქაღალდების დასტის ერთ ფურცელზე: „ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანას! აფხაზეთის ასსრ -მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გთხოვთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ფონდიდან გამოუყოთ ამხ. დ. მოშიაშვილს 10 ათასი ცალი აგური. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დუდუჩავა“.

საიდან სადაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ამრიგად დ. მოშიაშვილმა ძმა-ბიჭების შემწეობით სახლიც წამოჭიმა. ახლა ცხაკაიაში ჩამოსულნი ბაზრის ტერიტორიის გვერდით დ. მოშიაშვილის სახლს კი არა, სასახლეს რომ ხედავენ, იგი რომელიმე მსხვილი დაწესებულების შენობა ჰგონიათ.

არც მანქანების არჩევანში აღმოჩნდა ნაკლები გემოვნება დ. მოშიაშვილს. ჯერ იყო და 1954 წელს „ზიმი“ შეიძინა 40 ათას მანეთად. როცა ის „მოძველდა“, „პობედაზე“ გადაბრძანდა. ნათქვამია — „მადა ჭამაში მოდისო“, და შარშან „ვოლგა“ იყიდა.

დ. მოშიაშვილის ოჯახი 6 სულისაგან შედგება. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში არც ერთი არ არის ჩაბმული. თვით დ. მოშიაშვილის ხელფასი 850 მანეთს (ძველი ფულით) არ აღემატება, რაც მარტო მანქანის მოვლა-შენახვასა და ბენზინის შეძენაზე არ ყოფნის.

ცხაკაიაში კომბინატორული ნიჭით მარტო დ. მოშიაშვილი როდია დაჯილდოებული. შალომ მიხელაშვილის და მისი შვილის რუბენის პროფესია გაურკვეველია. მამა-შვილმა რამდენჯერმე გამოიცვალეს მსუბუქი მანქანა „პობედა“. ახლა რუბენი „პრ-60-07“ ნომრის „პობედით“ დაქრის ხან კულაშში, ხან ბანძაში, ხან ქუთაისსა და სოხუმში. მამას რომ შეეკითხებიან შვილის ამბავს, ამბობს:

— რა ვიცი, ჩემს შვილს მუდმივი საცხოვრებელი სადა აქვს ან სად ღამდება.

მაშ ვინ არჩენს უმუშევარ რუბენს ან მანქანის მოვლა-შენახვაში ვინ ეხმარება, ან თვითონ შალომი და მისი ცოლ-შვილი რით ცხოვრობენ, რა ხერხებითა და საშუალებებით არსებობენ?

მათ როდი ჩამორჩენა სოფელ შხეფის პურის საცხობის ბრიგადირი ი. ქობალავა, რომელიც ახლა „პრ-60-46“ ნომრის „ვოლგის“ პატრონია. მან მოკლე დროში ერთი „მოსკვიჩი“ და ორი „პობედა“ გაცვითა.

საკითხავია, რა საშუალებით შეიძინა, ვის ხარჯზე?!.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ლიტველი ივანოვა იწვევს სეფიაოვილს

ვილნიუსი. (საკ. კორ.). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად იყო ლიტვის სსრ საბჭოთა მეურნეობა „ისლიცას“ მეღორე, სოციალისტური შრომის გმირი ნადეჟდა ივანოვაც. იგი დაწვრილებით გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის ბევრი წარჩინებული ადამიანის საქმიანობას. ივანოვამ წითელწყაროელი მეღორის დ. სეფიაშვილის წარმატებანი მოიწონა და გადაწყვიტა შეეჯიბროს მას.

— ამხანაგო დავით, — მიმართა ივანოვამ, — თქვენი მაჩვენებლები სასახელოა, მოსაწონია. არც მე მაქვს ნაკლები წარმატებანი. შარშან სამი ათასი გოჯი გავზარდე. წელს გაცილებით მეტის გაზრდა ვიკისრე და გადავწყვიტე, რომ ეს ვალდებულება გავანადგურ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მოწვევის დღისათვის. შეეჯიბროთ ერთმანეთს, მე გაზრდი გოჯებს, თქვენ გაასუქეთ!..

დავით სეფიაშვილმა სიამოვნებით მიიღო ივანოვას გამოწვევა. მან თქვა, რომ ნაკისრი ვალდებულებას 1.600 ღორის გასუქების შესახებ გაანადგურებს პარტიის XXII ყრილობის დღისათვის.

სეფიაშვილი სიტყვის კაცია, თქმაც იცის და შესრულებაც. მან უკვე გაასუქა და სახელმწიფოს ჩაბარა 852 ღორი. ამჟამად ასუქებს 450 ბუროვკას. აქედან 150 სულს ივნისის ბოლოს ჩაბარებს.

მე-2 გვერდი. ოთხშაბათი.
21 ივნისი, 1961 წ.

ბრძოლის ფრონტიდან

მიხეილ შოლოხოვი

ხვალ სრულდება ოცი წელი, რაც ფაშისტური გერმანიის ბარბაროსები მუხანათურად დაესხნენ თავს მშვიდობიანი შრომის შერახულში ჩაბმულ საბჭოთა ხალხებს. მილიონობით ადამიანთა სიცოცხლისა და სისხლის ფასად მოვიპოვეთ დიადი გამარჯვება უბოროტეს მტერთან შერკინებაში.

ჩვენს მიწა-წყალზე ბიტლერელთა ავაზაკობის შესახებ მოგვითხრობს ამჟამად საქართველოს ჟურნალი სტუმრის,- გამოჩენილი საბჭოთა მწერლის, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატის მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის მოთხრობა „სიძულვილის მეცნიერება“, რომელიც 1942 წელს გამოაქვეყნა ჩვენი ეპოქის დიდმა მწერალმა. ეს მოთხრობა, ისევე როგორც შოლოხოვის ყველა სხვა მაღალმხატვრული ნაწარმოები, მკაფიოდ გვიხატავს ომის საშინელებას და შთაგონებს აღმოსავლეთს ხმა ალიმალლონ ომის წინააღმდეგ, იბრძოლონ ხალხთა მშვიდობის დასაცავად.

ომში თავიანთულ ხეს, როგორც ადამიანებს, თავისი ბედი აქვს. მე ვნახე ჩვენი პარტელარის ცეცხლით გადაკაფული ტყის უზარმაზარი ნაკვეთი. ამ ტყეში ცოტა ხნის წინათ გაბაგრდნენ სოფელ ს-დან გარეკილი გერმანელები, აქ აპირებდნენ ფეხის მოკიდებას, მაგრამ საკვდილმა ხეებთან ერთად მოესალა ისინი. წაქცეული ფიჭვების ქვეშ იწვნენ მკვდარი გერმანელი ჯარისკაცები, მწვანე გეზრაში ლპებოდნენ ბაფლეთებად ქცეული მათი გვამები, და ყუმბარებით გაპობილი ფიჭვების სურნელება ვერ ახშობდა გაბრწყინვილი გვამების შებერეთვე და გულისამრეკ, მწვავე სიმყრალეს. თითქოს მიწასაც ყუმბარებით ამოთხრილ- რუხ, შეტრუსულ, უსწორმასწორო ორმოებიანად სიმპარის სუნი ასდიოდა.

საკვდილი ზვიადად და მდუმარედ დაუფლებოდა ჩვენი ყუმბარებით შექმნილ და გადათხრილ ამ მინდორს, მხოლოდ მის ცენტრში იდგა სასწაულით გადარჩენილი ერთი ირეხისე და ქარი არხევდა ყუმბარის ნაშესხვრეებით დაკოდილ მის ტოტებს, აშრიალებდა ახალგაზრდა, პრიალა და წეროვან ფოთლებს.

ჩვენ ამ მინდორზე გადავდიოდით. მეკავშირე წითელარმიელი, რომელიც ჩემ წინ მიდიოდა, ოდნავ ეკოსტა ირეხისეს და გულწრფელი და ალერსიანი გაკვირვებით შეეკითხა:

— აქ როგორ გადარჩენილხარ, ძვირფასო?..

მაგრამ თუ ფიქვი, როცა ყუმბარისაგან იღუპება, მოცელილივით ეცემა და გადაჭრის ადგილს რჩება მხოლოდ წვეტიანი წვერი, სიდიდანაც ფისი წვეთავს, სულ სხვანაირად ხვდება სიკვდილს მუხა.

გაზაფხულის დამდეგს გერმანელთა ყუმბარა მოხვედროდა უსახელო პატარა მდინარის ნაპირას მდგომ ბერძოხას. პირდაღებულმა გლეჯილმა ჭრილობამ გაიბმო ნახევარი ხე, მაგრამ მეორე ნახევარი რომელიც ფეთქებას ყელისკენ გადაეხარა, გაზაფხულზე საოცრად გამოცოცხლდა და ახალი ფოთლებით დაიფარა. დასახჩრებული მუხის ქვედა ტოტები ალბათ დღემდე ბანაობენ მდინარის წყალში, ზედა ტოტები კი ხარბად უწვდიან მზეს თლილ მკვრივ ფოთლებს. ბალალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ძერასავით განიერ მხრებიანი ლეიტენანტი გერასიმოვი ბლინდაჟის შესასვლელში იდგა და დაწერილებით გვიყვებოდა დღევანდელი ბრძოლის, პატალიონის მიერ წარმატებით მოგერიებული მტრის სატანკო იერიშის ამბავს.

ლეიტენანტს გამხდარი სახე მშვიდი, თითქმის უვნებო ჰქონდა, შეშუპებული თვალები დაღლილად მოეჭუტა. იგი ლაპარაკობდა ხრიწიანი ბოხი ხმით. ხანდახან ერთმანეთს გადაალმდიდა ხელების მსგავალ კორძიან თითებს, და უცნაურად არ შეპფეროდა მის ღონიერ ტანს, ენერგიულ, მამაცურ სახეს ეს ყესტი, რომელიც ასე ნათლად ამჟღავნებდა მდუმარე მუშახრობას ან ღრმა და მძიმე ფიქრებს.

მაგრამ იგი უკვე გაჩუქდა და სახე მაშინვე შეეცალა: შავგვრემანი ლოყები გაუფიფრდა, ყურომალებქვეშ კოპები აუტოკდა, ხალო წინ დაკვირვებით მზარალი თვალები ისეთი დაუშრეტელი, მძაფრი სიძულვილით აენთო, რომ უნებურად მიეხედნენ იქით, საითაც ის იცქირებოდა, და დავინახე ჩვენი თავდაცვის მოწინავე კიდის მხრიდან ტყეზე მომავალი სამი ტყვე გერმანელი და უკან — მათი გამყოლი წითელარმიელი მზისაგან გახუნებული, თითქმის თეთრი სახაფხულო გიმნასტიორითა და კეფაზე გადაწეული პილოტიერით.



ილ. ი. ეროვიშვილისა.

წითელარმიელი ნელა მოაბიჯებდა. მძიმედ ქანაობდა მის ხელში შაშხანა, მზეზე ელვარებდა ხიშტის წვერი. და ასევე ნელა მოაბიჯებდნენ ტყვე გერმანელები, უხალისოდ აღგამდნენ ფეხებს, რომლებზეც ყვითელი თიხით მოთხუპნული მოკლე ჩექმები ეცვათ.

წინ მიმავალმა ხნიერმა გერმანელმა, რომელსაც წაბლისფერი ხშირი ჯაგრით დფარული ჩაცვივნული ლოყები ჰქონდა, ბლინდაჟს რომ გაუსწორდა, მგლის თვალით ქეშად გამოიხედა ჩვენკენ, შემდეგ კი განზე გაიხედა, თან ქამარზე ჩამობმული მუზარადი გაისწორა. მაშინ ლეიტენანტი გერასიმოვი სწრაფად წამოხტა და წითელარმიელს მკახე, მყეფარე ხმით გასძახა:

— რას დაასეირნებ ამათ. აუჩქარე ნაბიჯი! უფრო სწრაფად წაიყვანე-მეთქი!..

ეტყობოდა, კიდევ უნდოდა რაღაც დაეყვირა, მაგრამ დელვისაგან სული შეეხუთა, მკვეთრად მობრუნდა და სწრაფად ჩაირბინა კიბით ბლინდაჟში. პოლიტელმა, რომელიც ამ ლაპარაკს დაესწრო, თვალებში გაკვირვება რომ შემამჩნია, ხმადაბლა მითხრა:

— რას იზამ, — ნერვებია. გერასიმოვი ტყვედ იყო გერმანელებთან, განა აბ იცოდით? როდისმე გამოელაპარაკეთ. იქ ძალიან ბევრი განიცადა, და ამის შემდეგ ცოცხალი ჰიტლერელების დანახვა არ შეუძლია, სწორედ ცოცხლებისა! მკვლრებს რომ უყურებს, — არაფერი, მე კიტყოდი, სიამოვნებითაც კი, მაგრამ აი ტყვეებს რომ დაინახავს, ან თვალებს დახუჭავს და ზის გაფითრებული და გაოფლიანებული, ან გაბრუნდება და წავა. — პოლიტელემ ახლოს მოიწია ჩემთან და ჩურჩულით განაგრძო: — ორჯერ მომიხდა ნასთან ერთად იერიშზე წასვლა; ცხენივით ღონიერია, უნდა ნახოთ, რას აკეთებს... ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ეგ რომ ბიბერითა და კონდახით მოქმედებს, ეს, იცით, სამონელებაა!

ღამე გერმანელთა მძიმე არტილერია თავისი ცეცხლით მოსვენებას არ გვაძლევდა. მეთოდურად, დროის თანაბარი შუალედებით, შორიდან მოისმოდა ქვემეხის სროლა, რაზდენიმე წამის შემდეგ ჩვენს თავზე, მაღლა ვარსკვლავიან ცაში, ყუმბარის ლითონისებრი ჩხარუნი გაისმოდა, ზუზუნი ჯერ გეიახლოვდებოდა, შემდეგ გაშორდებოდა, ხოლო საღღაც ჩვენს უკან, ბნის მხარეს, სადაც ფაშისტებს გაეწყვეტელივ მიმოდიოდნენ მანქანები, რომლებსაც ფრონტის ხაზზე მოქმონდათ საომარი მასალა, ყვითლად აციალდებოდა ალი და დაიქუხებდა აფეთქება.

გასროლიდან გასროლამდე, როცა ტყეში სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ისმოდა, როგორ წიოდნენ კოღოები და მეზობელ ჭოობში გაუბედავად ეხმაურებოდნენ ერთმანეთს სროლით შეშინებული ბაყაყები.

ჩვენ თხილის ბუჩქის ქვეშ ვიწექით, და ლეიტენანტი გერასიმოვი, რომელიც მოტეხილი ტოტით კოღოებს იგერიებდა, მიამბობდა თავის ამბავს. გადმოცემთ ამ ნაამბობს, როგორც დამამახსოვრდა.

— ომამდე მექანიკოსად ვმუშაობდი დასავლეთ ციმბირის ერთ-ერთ ქარხანაში. ომებიში გამიწვიეს გასული წლის ცხრა ივლისს. ოჯახში მყავს ცოლი, ორი შვილი, ინვალიდი მამა. როცა მაცილებდნენ, ცოლმა, როგორც წესია, კიდევ იტირა და სიტყვაც დამიბარა: „მტკიცედ დაგვიცავი სამშობლოც და ჩვენც. თუ საჭირო იქნება— სიცოცხლეც გასწირე, გამარჯვება კი ჩვენი უნდა იყოს“. ეახსოვს, მაშინ გამეცინა და ვუთხარი: „შენ ვინა ხარ, ცოლი თუ ოჯახის აგიტატორი? მე თვითონ დიდი ვარ, რაც შეეხება გამარჯვებას, ჩვენ მას ფაშისტებს ყელიანად ამოვგლეჯთ, ნუ გეშინია!“.

მამაჩემი, რა თქმა უნდა, უფრო მაგრად იყო, მაგრამ დაურიგებლად აქაც ვერ გადავრჩი: „იცოდე, — მითხრა, — ვიქტორ, გერასიმოვების გვარი უბრალო გვარი როდია. შენ შთამომავლობით მუშა ხარ: შენი პაპის მამა ჯერ კიდევ სტროგანოვებთან მუშაობდა; ჩვენი გვარი ასობით წლის მანძილზე სამშობლოსათვის რკინას აკეთებდა, და შენც ამ ომში რკინისებური უნდა იყო. ხელისუფლება ხომ შენია, მას ომამდე თადარიგის მეთაურად ჰყავდი, და ახლა მტერს მაგრად უნდა ურტყა“.

„შეეასრულებ, მამაჩემო“.

ვაგზალში რომ მივდიოდი, პარტიის რაიკომში შეეირბინე. მდივანი რაღაც მეტად პირქუში, აუღელვებელი გვყავდა, ახლა, ვფიქრობ, თუ კი ცოლმა და მამამ აგიტაცია გამიწიეს, ეს რაღას მიზამს, ალბათ ნახევარსაათიან სიტყვას წამიკითხავს. ნამდვილად წამიკითხავს! მაგრამ პირიქით მოხდა. „ჩამოჯექი, გერასიმოვ, — მითხრა ჩემმა მდივანმა, — გამგზავრების წინ დავსხდეთ ერთ წუთს ძველი ჩვეულებისამებრ“.

მე და ის ცოტა ხანს ხმაამოუღებლივ ვისხედით, შემდეგ ადგა, ვხედავ — სათვალე თითქოს დაეორთქლა... აი, ვფიქრობ, რა სასწაულები ხდება დღეს! მდივანი კი მეუბნება: „ყველაფერი ნათელი და გასაგებია, ამხანაგო გერასიმოვ. შენ ჯერ კიდევ ასეთი ყურმაჭეტრა მახსოვხარ, როცა პიონერის ყელსახვევს ატარებდი. შემდეგ კომკავშირელიც მახსოვხარ, როგორც კომუნისტსაც გიცნობ ათი წლის მანძილზე. წადი, ულმობლად ტრტყი ქვეწარმავლებს! პარტორგანიზაციას შენი იმედი აქვს“. სიცოცხლეში პირველად გადავკოცნეთ ერთმანეთი მე და ჩემმა მდივანმა, და, დალახვროს ეშმაკმა, სულაც ალარ მოვეჩვენა მაშინ ისეთი პირქუში, როგორც წინათ...

გულში ისეთი სითბო ჩამიდგა მისი გულითადობით, რომ რაიკომიდან გახარებული და აღელვებული გამოვედი.

მერე ცოლმაც გამაცინა. თვითონ გესმით, არც ერთ ცოლს არ უხარია ქმრის გაცილება ფრონტზე; ჩემი ცოლიც მწუხარებისაგან ცოტა არ იყოს დაიბნა, სულ უნდოდა რაღაც მნიშვნელოვანი ეთქვა, მაგრამ ყველაფერი დავიწყდა, აზრები დაეფანტა. და აი უკვე მატარებელი დაიძრა, ის კი მოსდევს ჩემს ვაგონს, ხელიდან ჩემს ხელს არ უშვებს და სწრაფად შეუბნებოდა:

„იცოდე, ვიტია, თავს გაუფრთხილდი, არ გაცივდე იქ, ფრონტზე“. — „რას ამბობ, — ეუბნები, — ნადია, რას ამბობ. როგორ გავცივდები. იქ საუკეთესო პალთა და ძალიან ზომიერიც“. დაშორებაც მემზარა. ცოლის სასიყვარულო, სულელურმა სიტყვებმაც გამაცინა, და საშინელმა სიძულვილმა შემიპყრო გერმანელების მიმართ. ეჰ, ვფიქრობ, შეგვეგებეთ, მუხანათო მეზობლებო, — ახლა მაგრად იყავით! გიჩვენებთ სეირს!

გერასიმოვი რამდენიმე წუთს დუმდა, ყურს უგდებდა ტყეიამფრქვევების სროლას, რომელიც წინა კიდეზე ატყდა, შემდეგ, როცა სროლა ისევე უცბად შეწყდა, როგორც ატყდა, განაგრძო:

— ომამდე ჩვენს ქარხანაში მანქანები მოდიოდა გერმანიიდან. აწყობის დროს ხუთჯერ მოვსინჯავდი ყოველ ნაწილს, ყველა მხრიდან ვათვალიერებდი. ვერაფერს ვერ იტყოდი — ჰკვიანი ხელები აკეთებდნენ ამ მანქანებს. გერმანელი მწერლების წიგნებს ეკითხულობდი, მიყვარდა ისინი და როგორიც მოვიჩვენე, რომ ჰიტლეროცემით მოვპყრობოდი გერმანელ ხალხს. მართალია, ზოგჯერ ჯავრი მომერეოდა, როდ ასეთი შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხი ითმენს ყველაზე სიზიზღარ ჰიტლერულ რეჟიმს, მაგრამ ეს, ბოლოს და ბოლოს, მათი საქმე იყო. მერე დასაღალეთ ევროპაში ომი დაიწყო...

და აი მივდიავარ ფრონტზე, თან ეფიქრობ: ტექნიკა გერმანელებს ძლიერი აქვთ, არმიასაც არა უჭირს რა: დალახვროს ეშმაკმა, ასეთ მოწინააღმდეგესთან შებმა და მოსთვის! გვერდების დაზეა საინტერესოც კი. ჩვენც ორმოცდაერთში ძაბუნნი როდი ვიყავით. მართალი გითხრათ, ამ მოწინააღმდეგისაგან დიდ ჰატიოსნებას არ ველოდა. რა ჰატიოსნებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ფაშიზმთან გაქვს საქმე, მაგრამ არასოდეს არ მიფიქრია, რომ ომი მოგვიხდებოდა ისეთ უსინდისო არამზადებთან, როგორიც ჰიტლერის არმია აღმოჩნდა. მაგრამ ამაზე შემდეგ...

ივლისის დამლეგს ჩვენი ნაწილი ფრონტზე მივიდა. ბრძოლაში ჩავებით ოცდამეოთხე დილაადრიან. ცოტა არ იყოს გვეშინოდა. ისინი მაშინ ძალიან გვაწუხებდნენ ნაღმსატყორცნებით, მაგრამ საღამოსას ჩვენც ცოტა შეეგეჩვინ და ვუჩვენეთ სერი, ერთი სოფლიდან გავრეკეთ. ამავე ბრძოლაში ხელში ჩავიგდეთ ტყვეების ჯგუფი, თხუთმეტოდე კაცი. მახსოვს, თითქოს გუშინ იყო: მიყვანეს ისინი, შეშინებულნი, გაფითრებულნი; ჩემი ნებრძოლები ამ დროისათვის უკვე დაცარნენ ბრძოლის შემდეგ, და აი ყოველ მათგანს მოაქვს ტყვეებისათვის რაც შეუძლია: ზოგს — ქვაბით შრი, ზოგს — თამბაქო ან პაპიროსი, ვინ ჩაის სთავაზობს. მხრებზე ხელს არტყამენ, „კაჰრადღეს“ ეძახიან: რისთვის ომობთ, კამრადებოო...

ერთმა კადრის მებრძოლმა კი უყურა, უყურა ამ გულაჩუყებელ სურათს და გვითხრა: „ძალიან აგიჩეკლეს გული ამ „მეგობრებმა“. აქ ესენი ყველა კამრადები არიან, ამა იქ ნახეთ, ფრონტის ხაზს იქით, როგორ ექცევიან ჩვენს დაჭრილებსა და მშვიდობიან პოსახლეობას“. თქვა, თითქოს კასრი ცივი წყალი გადაგვაესროს, და წავიდა.

მალე შეტევაზე გადავედით და იქ მართლაც ბევრი რამ ვნახეთ... გადაბუგული სოფლები, ასობით დახვრეტილი ქალები, ბავშვები, მოხუცები, ტყეად ჩავარდნილი წითელარმიელების დასახიჩრებული გვამები, გაუპატიურებული და მხეცურად მოკლული ქალები, ქალაშვილები, ბობარი გოგონები...

განსაკუთრებით ერთი გოგონა ჩამრჩა მეხსიერებაში: თერმეტოდე წლისა იქნებოდა, ჩანს სკოლაში მიდიოდა; გერმანელებს იგი დაეჭირათ, ბოსტანში შეეთრიათ, გაეუპატიურებინათ და მოეკლათ. იგი იწვა კარტოფილის გათელილ ფოჩებში, პატარა გოგონა, თითქმის ბავშვი, გარშემო კი სისხლით მოსვრილი რვეულები და სახელმძღვანელოები ეყარა... სახე საშინლად ჰქონდა დაჩეხილი. ხელში ჩაბღუჯული ჰქონდა გახსნილი სასკოლო ჩანთა. სხეულს კვრაკლაბადი გადავფარეთ და მღუმარედ ვიდექით. შემდეგ მებრძოლები ისევე მდუმარედ დაიშალნენ, მე კი ვიდექი და, მახსოვს, შლეგივით ეჩურჩულებდი: „ბარკოვი, პოლოვინკინი, ფინაკერი გეოგრაფია. სახელმძღვანელო ორასრული საშუალო და საშუალო სკოლისათვის“. ეს წავიკითხე ერთ-ერთ სახელმძღვანელოზე, რომელიც იქვე, ბალახში ეგდო, ამ სახელმძღვანელოს კი ვიცნობ. ჩემი გოგონაც მეხუთე კლასში სწავლობდა.

ეს რუკინის მახლობლად იყო. სკვირასთან კი ხევში წავაწყდით სიკვდილით დასჯის ადგილს, სადაც ტყვედ ჩავარდნილ წითელარმიელებს აწამებდნენ. ყოფილხართ როდისმე ხორცის დუქანში? აი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა ეს ადგილი... ხევში მდგომი ხეების ტოტებზე ეკიდა გასისხლიანებული უხელფეხო, სანახევროდ გატყავებული სხეულები... ხევის ფსკერზე ცალკე გროვად ეყარა რვა მოკლული. იქ ვერ გაიგებდი, რომელ განაწამებს რა ეკუთვნოდა, ეყარა მსხვილად დაკეპილი ხორცის გროვა, ზევიდან კი — როგორც ერთმანეთზე დადებული თეფშები, — იდო რვა წითელარმიელი პილოტერა...

გგონიათ ,სიტყვით შეიძლება აიწეროს ყველაფერი, რის ნახვაც მოგვიხდა? არ შეიძლება! ასეთი სიტყვები არ არის. ეს თვითონ უნდა ნახო. და საერთოდ დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავი! — ლეიტენანტი გერასიმოვი კარგა ხანს დუმდა.

— აქ თაბმაქოს მოწევა შეიძლება? — ვკითხე მას.

—შეიძლება. მუჭაში მოსწიეთ, — მიპასუხა ხრიწიანი ხმით. და, პაპიროსს „რომ მოუკიდა, განაგრძო:

— თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენ გავმხეცდით, ყოველივე იმის მნახველები, რასაც ფაშისტები სჩადიოდნენ, სხვანაირად არც შეიძლებოდა. ყველანი მივხვდით, რომ საქმე გვქონდა არა ადამიანებთან, არამედ სისხლისაგან გაცოფებულ ლაფაკებთან. ალმოჩნდა, რომ ახლა ისინი ისეთივე გულღოდგინენი, როგორიოთაც ოდესღაც ჩარხებსა და მანქანებს აკეთებდნენ, ახლა ხოცავენ, ატანტიტრებენ და აწამებენ ჩვენს ადამიანებს. შემდეგ კვლავ უკან ვიხევდით, მაგრამ გააფთრებით ვიბრძოდით!

ჩემს ასეულში თითქმის ყველა ბებრძოლი ციმბირელი იყო. მაგრამ უკრაინის მიწა-წყალს თავდადებით ვიცავდით. ბევრი ჩემი თანამებრძოლი დაიღუპა უკრაინაში, ფაშისტები კი უფრო მეტი დავხოცეთ. რა ვუყოთ, რომ უკან ვიხევდით, ავ დღეს მაინც ვაყრიდით.

ლეიტენანტმა გერასიმოვმა ხარბად ბოსწია პაპიროსი და უკვე რამდენადმე სხვა, შერბილებული ხმით თქვა:

— კარგი მიწაა უკრაინაში, ბუნებაც საუცხოოა! ყოველი სოფელი იქ ზმობლიურად გვეჩვენებოდა, იქნება იმიტომ, რომ დაუზოგავად ვღერიდით იქ ჩვენს სისხლს, სისხლი კი, ამბობენ, ადამიანებს ანათესავებსო... და აი ტოვებ რომელიმე სოფელს, გული კი დაწყვეტილივით გიკვნესის და გიკვნესის, გვენანებოდა, გული გვტკიოდა! მიდგიავარ და თვალებში ვერ ვუცქერით ერთმანეთს.

... არ ვეგონა მაშინ, რომ ფაშისტების ტყვეებში მომიხდებოდა ჩავაღება, მაგრამ მომიხდა. სექტემბერში პირველად დავიჭერი, მაგრამ მწყობრში დავრჩი. ოცდაერთში კი, პოლტავის ოლქში, დენისოვკის მახლობლად, მეორედ დავიჭერი და ტყვედ ჩავვარდი.

გერმანელთა ტანკებმა ბაარლვიეს ჩვენი მარცხენა ფლანგი, ბათ მოჰყვა ქვეითი ჯარი. ჩვენ ბრძოლით გადამოვდოდით გარემოცვიდან. ამ დღეს ჩემი ასეული ძალიან დაზარალდა. ორჯერ მოვიგერიეთ მოწინააღმდეგის სატანკო იერიშები, დავწვეთ და დავბიანეთ ექვსი ტანკი და ერთი ჯავშნიანი მანქანა, სიმინდის ყანაში დავაწყვინეთ ასოცამდე ჰიტლერელი, შერე კი ბათ მიეშველნენ ნაღმსატყორცნი ბატარეები, და ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა მაღლობი, რომელსაც ვინარჩენებდით შეაღღიდან ოთხ საათამდე. დილადანვე ცხელოდა, ცაში პატარა ღრუბელიც არ ჩანდა, მზე კი ისე აცხუნებდა, რომ სუნთქვა გვეკვროდა. ნაღმები ზედიზედ ეცემოდა და, მახსოვს, ისე გეშყუროდა, რომ მებრძოლებს წყურვილისაგან ტუჩები უშავდებოდათ, მე კი ბრძანებებს ვიძლეოდი რაღაც უცხო, მოლაზ ჩახლეჩილი ხმით, ღარტაფს გადავრბოდით, როცა ჩემ წინ ნაღმი გასკდა... მგონი მოვასწარი შავი მიწისა და მტვრის სვეტის დანახვა — ეს იყო და ეს. ნაღმის ნამსხვრევმა მუზარადი გამიხვრიტა, მეორე კი მარჯვენა მხარში მომხვდა.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიწექი უგონოდ, მაგრამ გონს მოვედი ვიღაცის ფეხების ბრახუნისაგან. თავი წამოვწიე და დავინახე, რომ იმ ადგილს არა ვწევარ, სადაც დავეცი. გიმნასტორა არ მაცია, მხარი ჩემთვის ვიღაცას ნაჩქარევად შეუხვევია. მუზარადიც არ მახურავს. თავიც ვიღაცას შეუხვევია, მაგრამ სახვევი დამაგრებული არა მაქვს, მისი წვერი მკერდზე მკიდია. ერთ წამს გავიფიქრე, ალბათ ჩემს მებრძოლებს გამოეყვიდა და გზადაგზა შემიხვიეს-მეთქი და, როცა ძლივს აგწევ თავი, მეგონა ჩვენებს დავინახავდი, მაგრამ ჩემკენ მორბოდნენ არა ჩვენები, არამედ გერმანელები. თურმე მათი ფეხის ბრაგუნმა მომიყვანა გონს. ძალიან მკაფიოდ დავინახე ისინი, როგორც კარგ კინოში. გარშემო ხელი მოვეფათურე. გვერდით იარაღი არ იყო: არც ნაგანი, არც შაშხანა. ხელყუმბარაც კი არ ალმოჩნდა. პლანშეტი და იარაღი ვიღაც ჩვენგანს მოეხსნა ჩემთვის.

„აი სიკვდილიც მოვიდა“, — გავიფიქრე. რაზე ვფიქრობდი კიდევ ამ მომენტში? თუ ეს მომავალი რამდენისათვის გიმდათ, თქვენ თვითონ გამოიგონეთ რამე, მე კი მაშინ გაფიქრება ვერ მოვასწარი, გერმანელები უკვე ძალიან ახლოს იყვნენ. და არ მინდოდა მწოლარე მოკმკვდარიყავი. არ მინდოდა, არ შემეძლო მწოლარე მოკმკვდარიყავი, გასაგებია? მთელი ძალა მოვიკრიფე და მუხლებზე დავდექი, თან ხელებით მიწას ვებჯინებოდი. როცა ჩემთან მოირბინეს, უკვე ფეხზე ვიდექი. ვიდექი და ვქანაობდი, და საშინლად მეშინოდა, ან ახლა კვლავ დავეცემი და მწოლარეს გამგმირავენ-მეთქი, არც ერთი სახე არ მახსოვს: ისინი ჩემს გარშემო იდგნენ, რაღაცას ამბობდნენ და იცინოდნენ. მე ეუთხარი: „ბარემ მომკალით, არამზადებო! მოგკალით, თორემ სადაც არის დავეცემი“ ერთმა მათგანმა კისერზე კონდახი დამარტყა, მე დავეცი, მაგრამ მაშინვე ისევ ავდექი. მათ გაიცინეს და ერთმა მათგანმა ხელი ამიქნია — წინ წადიო. წავედი. მთელი სახე დაფარული მქონდა შემხმარი სისხლით, თავზე ჭრილობიდან ჯერ კიდევ მდოდა სისხლი, ძალიან თბილი და წებოვანი, მხარი მტკიოდა: და მარჯვენა ხელის აწევა არ შემეძლო. მახსოვს, ძალიან მინდოდა დავწოლილიყავი და არ მეკლო, მაგრამ მაინც მიეფიოდი...

არა, სულაც არ მინდოდა სიკვდილი და მით უმეტეს ტყვეობაში დარჩენა. დიდი გაჯერებით ვიყავებდი თავბრუსხვევას და გულისრევას და მივდიოდი, — მაშასადამე, ცოცხალი ვიყავი და ჯერ კიდევ შეძეძლო მოქმედება. ოჰ, როგორ მტანჯავდა წყურვილი! პირი გამშრა, და, სანამ ფეხები მიაბიჯებდნენ, რაღაც ზაკი ფარდა მელანდებოდა. თითქმის გრძნობადაკარგული ვიყავი, მაგრამ მივდიოდი და ვფიქრობდი: „როგორც კი წყალს დავლევ და ცოტას დავიხვეშებ — გავიქცევი!“

ჭალის პირას ყველა ტყვეს თავი მოგვიყარეს და მწყობრში დაგვაყენეს. ყველა ესენი ბეზობელი ნაწილის ბრძოლიდან იყვნენ. ჩვენი პოლკიდან ვეცანი მხოლოდ მესამე ასეულის ორი წითელარმიელი. ტყვეების უმეტესობა დაჭრილი იყო. გერმანელმა ლეიტენანტმა დამტვრეული რუსულით გვკითხა, თქვენს შორის კომისრები და მეთაურები თუ არიანო. ყველა დუმდა. მაშინ მან ერთხელ კიდევ თქვა: „კომისრებმა და ოფიცრებმა გადმოდგან ორი ნაბიჯი წინ“. მწყობრიდან არავინ არ გამოსულა.

ლეიტენანტმა ნელა ჩამოუარა მწყობრს და გამოარჩია თექვსმეტიოდე კაცი, რომლებიც გარეგნობით ებრაელებს ჰგავდნენ. თვითონულს ეკითხებოდა: „იუდე?“ — მაგრამ პასუხს არ უცდიდა და უბრძანებდა მწყობრიდან გამოსულიყვნენ. გამორჩეულთა შორის იყვნენ ებრაელებიც, სომხებიც, შავგვრემანი და ზაკმიანი რუსებიც. ყველა ისინი ცოტა განზე გაიყვანეს და ჩვენს თვალწინ ავტომატებით დახვრიტეს. შემდეგ ყველანი ნაჩქარევად გაგვიხვიეს, წაგვართვეს საფულეებიც და ყველაფერი, თუ რამ პირადი ნივთი გვქონდა. მე არასოდეს არ ვატარებდი პარტბილეთს საფულეში, დაკარგვისა შეშინოდა; იგი შენახული მქონდა შარვლის შიდა ჯიბეში, და გაიხსენა, სას ვერ აღმომჩინეს. მაინც ადამიანი სასოცარი ქმნილებაა: ტანცად ვიცოდი, რომ ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, რომ თუ გაქცევის ცდის დროს არ მომკლავდნენ, სულ ერთია მომკლავდნენ გზაში, რადგან ბევრი სისხლის დაკარგვის გამო ალბათ ვერ ვიქლიდი სხვებთან ერთად, მაგრამ როცა გაიხრიკა დამთავრდა და პარტბილეთი ჯიბეში დამრჩა. ისე გამეხარდა, რომ წყურვილიც კი დამავიწყა!

ჩვენ სალაშქრო კოლონად დგგაწყეს და დასავლეთისაკენ გაგვრეკეს. გზის აქეთ-იქით საკმაო ძლიერი ბადრაგი და ათიოდე გერმანელი მოტოციკლისტი მოდიოდა. მიგვერეკებოდნენ ჩქარი ნაბიჯით, და უკვე ძალა მელეოდა. ორჯერ დავეცი, ავდექი და მივდიოდი, რადგან ვიცოდი, რომ თუ ბეღმეტ წუთს დაწოლილი დავრჩებოდი და კოლონა გაიელიდა, იქვე, გზაზე ტყვიას დაგვიხვრეტენ. ასე დაემბრძანა სერჟანტს, რომელიც ჩემ წინ მიდიოდა. ის ფეხში იყო დაჭრილი და ძლივს მიაბიჯებდა, ტკივილისაგან კბენსოდა და ხან კიდეც წამოიყვირებდა ხოლმე. დაახლოებით კილომეტრი რომ გავიარეთ, მან ხმამაღლა თქვა:

— არა, არ შემიძლია. მშვიდობით, ამხანაგებო! — და შუა გზაზე დაჯდა.

ამხანაგები რამდენჯერმე შეეცადნენ ფეხზე დაყენებინათ, მაგრამ იგი კვლავ ეშვებოდა მიწაზე. როგორც სიზმარში მახსოვს მისი ძალიან გაფითრებული ახალგაზრდა სახე. შეჭმუხვნილი წარბები და ცრემლისაგან სველი თვალები... კოლონამ გაიარა. იგი უკან დარჩა. მე უკან მივიხედე და დავინახე, როგორ მივიდა მასთან მოტოციკლისტი. უნაგირიდან ჩამოუსვლელად ამოიღო ბუდიდან პისტოლეტი, სერჟანტს ყურზე მიადო და გაისროლა. სანამ მდინარემდე მივიდოდით, ფაშისტებმა კიდევ რამდენიმე ჩამორჩენილი წითელარმიელი მოკლეს.

და აი უკვე ეხეიდავ მდინარეს, დანგრეულ ხიდს, გადასასვლელის გვერდით გაჩხირულ სატვირთო \ მანქანას, და აქ პირქვე ვეცემი. გრძნობა დავკარგე თუ არა? არა, არ დამიკარგავს. ვიწექი გაშოტილი, პირი სავსე მქონდა მტვრით, გაფფრენისაგან კბილებს ვაკრაჭუნებდი და ქვიშა ხრაშუნობდა ჩემს კბილებზე, მაგრამ ადგომა არ შემეძლო. ჩემმა ამხანაგებმა გვერდით ჩამიარეს. ერთმა მათგანმა ჩუმად მითხრა: „ადექი, თორემ მოგკლავენ!“ მე თითებით დავიწყე პირის გახვევა, თვალების ჩაჯყლეტა, რომ ტკივილი დამხმარებოდა ადგომაში...

კოლონამ უკვე გაიარა, მესმოდა, როგორ შრიალებდა მოტოციკლის თვლები, რომელიც უკვე მიახლოვდებოდა, და მაინც ავდექი! მოტოციკლისტისაკენ არც გამიხედავს, თავს ძალა დავატანე, როგორც მთვრალი, ბარბაცით დავეწიე კოლონას და ბოლო რიგებს შევეფერთდი. გერმანელთა ტანკებმა და ავტომანქანებმა ამოვლიეს წყალი მდინარეში, მაგრამ ჩვენ ვსვამდით ამ ყავისფერ, თბილ სითხეს, და იგი ყველაზე კარგ წყაროს წყალზე ტკბილი გვეჩვენებოდა. მე თავი და მხარი დავისველე. ამან ძალიან გამამაცოცხლა და ღონე დამიბრუნა. ახლა კი შემეძლო სიარული და იმ იმედით, რომ არ დავეცემოდი, გამოტილი არ დავრჩებოდი გზაზე...

ის იყო მდინარეს გავცდით, რომ გზაზე შეგვხვდა გერმანელთა საშუალო ტანკების კოლონა. ისინი ჩვენკენ მოდიოდნენ. წინა ტანკის მძღოლმა დაინახა, რომ ტყვეები ვიყავით. გამოაქანა მანქანა და მთელი სისწრაფით შემოიჭრა ჩვენს კოლონაში. წინა რიგები გადათელა და დაჭყლიტა მუხლუხებმა. ქვეითი მებადრაგეები და მოტოციკლისტები ხარხარით უყურებდნენ ამ სურათს, რაღაცას უყვიროდნენ ტანკისტებს, რომლებსაც ლიუკებიდან თავები ამოეყოთ და ხელებს იქნევდნენ. შემდეგ კვლავ დაგვაწყეს და გზის ნახევრით გაგვრეკეს. მხიარული ადამიანები არიან, რას იზამთ...

იმ საღამოს და ღამით გაქცევა არ მიცდია, რადგან მივხვდი, რომ წასვლას ვერ შეეძლებდი, ისე ვიყავი დასუსტებული სისხლის დაკარგვით, თანაც მაკაცად გვდარაჯობდნენ და გაქცევის ყოველი ცდა უთუოდ მარცხით დამთავრდებოდა. მაგრამ შემდეგ როგორ ვიწყევლიდი თავს, რომ მაშინ არ ვცადე გაქცევა! დილით მიგვერეკებოდნენ ერთ სოფელზე. რომელშიც გერმანელთა ნაწილი იდგა. გერმანელი ქვეითები ქეჩაში გამოეფინენ ჩვენს საყურებლად. მებადრაგეებმა გვაიძულეს მთელი სოფელი რბენით გაგვევლო. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ დავეძირებინენთ ფრონტისაკენ მიმავალი გერმანული ნაწილის თვალში. და ჩვენც მიერბოდით. ვინც ეცემო

ანგოლა იბრძვის

საერთაშორისო
დეკალეშები, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

ლონდონი, 19 ივნისი. (საკდესი). ანგოლის ჩრდილოეთ რაიონებში მეოთხე თვეა არ ქრება პორტუგალიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ანგოლელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი, ერთი დღითაც არ წყდება ანგოლის აჯანყებულთა საბრძოლო რეიდები. ანგოლელი პატრიოტები უეცარი იერიშებით სპობენ ჭრწინააღმდეგის კომუნიკაციებს, ხერგავენ გზებს, აფეთქებენ ხიდებს, დარტყმებს აყენებენ აეროდრომებს და კოლონიური ჯარების დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ ცენტრებს.

როგორც უცხოთის საინფორმაციო საagენტოების კორესპონდენტები ანგოლიდან იუწყებიან, უკანასკნელ დღეებში ანგოლელმა აჯანყებულებმა მთელი რიგი ახალი საბრძოლო თავდასხმები მოაწყეს ანგოლის ჩრდილოეთ რაიონებში. პატრიოტებმა დაანგრიეს კოლონიური ჯარების მიერ ამ ცოტა ხნის წინათ აღდგენილი ხიდი მდინარე დენგესზე დასახლებულ პუნქტ ალდეა ვიხოსის (ჩრდილოეთ ანგოლა) ახლოს და გადაჭრეს გზა კვიტექსიდან ალდეა ვიხოსში. აჯანყებულებმა მოაწყეს აგრეთვე მთელი რიგი საბრძოლო რეიდები დასახლებული პუნქტის ვილა კაირგის რაიონში.

კვლავ დაძაბული მდგომარეობაა კარმონის რაიონში (ჩრდილოეთ ანგოლა) სადაც, როგორც იუწყებიან, ანგოლელმა აჯანყებულებმა ბრძოლა გაუმართეს ოქ პორტუგალიის სამხედრო პატრულს.

შფოთიანი ქდგომარეობაა ანგოლის სამხრეთ რაიონებშიც. პორტო ალექსანდრეში იფეთქა აფრიკელი მოსახლეობის აჯანყებამ, რომელიც სასტიკად ჩაახშეს კოლონიზატორებმა.

პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა ანგოლაში თავი მოუყარეს დიდ სამხედრო ძალებს და ცდილობენ ჩაახშონ ანგოლელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რისთვისაც წამოიწყეს „გადამწყვეტი შეტევა".

როგორც რეიტერის საagენტოს კორესპონდენტი ლისაბონიდან იუწყება, კოლონიურმა ჯარებმა დაიწყეს ფართო შეტევა ჩრდილოეთ ანგოლის დასახლებულ პუნქტ ნამბუანგონგოს რაიონში, რომელიც აჯანყებულთა ხელშია. ამ სოფლის ახლოს აღმოაჩინეს პორტუგალიის რამდენიმე სამხედრო კოლონის გადაადგილება.

იუწყებიან აგრეთვე, რომ პორტუგალიის ჯარებმა, რომლებიც ახორციელებენ ეგრეთწოდებულ „მოჩხრეკის ოპერაციას", გუშინ აჯანყებულებს წაართვეს სოფელი ვილა ბენგო ჩრდილოეთ ანგოლაში.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება

გაშინგტონი, 20 ივნისი. (საკდესი). გუშინ აქ სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხებზე. მოლაპარაკებაში საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, ამერიკის დელეგაციას — პრეზიდენტ კენედის მრჩეველი განიარაღების საკითხებში ჯ. მაკლოი.

განიარაღების საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის პირველი შეხვედრის შედეგად მისმა მონაწილეებმა გამოაქვეყნეს შემდეგი კომუნიკე: „დღეს, 19 ივნისს, ვაშინგტონში იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ადრე იყო მიღწეული სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის, დაიწყო აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც შეებება განიარაღებას და მოლაპარაკების განახლებას შესაბამის ორგანოში, რომლის შემადგენლობა უნდა შეთანხმდეს".

სსრ კავშირის დელეგაციაში შედიან: სსრ კავშირის საagარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინი (დელეგაციის მეთაური); სსრ კავშირის ელჩი ამერიკელ შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი; გენერალ-პოლკოვნიკი ა. ა. გრიზლოვი; სსრ კავშირის საagარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილების გამგის მოადგილე ი. გ. უსაჩოვი, აგრეთვე მრჩეველები და ექსპერტები. აზრთა გაზიარების მონაწილეებში შემადგენლობაში ამერიკის შეერთებული შტატებისაგან შედიან: ჯონ ჯ. მაკლოი, პრეზიდენტის მრჩეველი განიარაღების საკითხებში; ედმუნტ ა. გალიონი, განიარაღების სამმართველოს დირექტორის მოადგილე; ადრიან ფიშერი, პრეზიდენტის მრჩეველის მოადგილე; რონალდ ი. სპაიერსი, განიარაღების სამმართველოს პოლიტიკური განყოფილების დირექტორი; რობერტ მატლესონი, განიარაღების სამმართველოს დაგეგმვის განყოფილების დირექტორი, აგრეთვე მრჩეველები და ექსპერტები.

ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მუშაობის წესისა და მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრის გზების შესახებ.

„ნუ იზამთ ამას, ბატონო კენედი"

ლონდონი, 19 ივნისი. (საკდესი). ინგლისის მთელ რიგი გაზეთების ვაშინგტონელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გაკვლენიანი დაჯგუფებები ძლიერ შეგაჯერეს ადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების თავრობაზე, მოითხოვენ ატომური იარაღის გამოცდის განახლებას. გაზეთ „დეილი ნიუსის" კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოცემელ ცნობაში აცხადებს, რომ კონგრესის გაკვლენიანი დაჯგუფება დაინებით მოითხოვს შეექმნას ახალი სახეობის ატომური იარაღი.

გაზეთი „დეილი მირორი" სტატიაში, რომელიც დასათაურებულია: „ნუ იზამთ ამას, ბატონო კენედი", წერს, რომ ამერიკელი იქსპერტები, რომლებიც არწმუნებენ პრეზიდენტ კენედის დაიწყონ ახალი სერია ატომური გამოცდებისა, ცდილობენ ეაჯინებენ.

სასტიკი კლასობრივი ბრძოლები აჯანყარებს იაპონიას. იაპონელი მშრომელები შეუპოვარ საagიტაციო ბრძოლას ეწევიან შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. არ წყდება ფართო მასებისა და პროგრესული ორგანიზაციების ბრძოლა შეერთებული შტატებისადმი დამორჩილების პოლიტიკის წინააღმდეგ, იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" გაუქმებისათვის, დემოკრატიულ უფლებებზე რეაქციის შეტევის წინააღმდეგ. უკანასკნელ ხანს იაპონიის მშრომელებმა მტკიცედ გალაშქრეს „პოლიტიკური ძალადობის თავიდან აცილების შესახებ კანონპროექტის" წინააღმდეგ. იკედას მთავრობა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ცდილობდნენ ინტრიგებისა და რეპრესიების საშუალებით პარლამენტში გაეტარებინათ ეს შავრაზმულ-რეაქციული კანონპროექტი. ამ ფაშისტურ კანონპროექტს სასტიკი პროტესტებით, მასობრივი მიტინგებითა და დემონსტრაციებით შეხვდნენ. გაზეთ „ბერლინერ ციტუნგიდან" ამოღებულ ამ სურათზე თქვენ ხედავთ, როგორ უსწორდება პოლიცია ტოკიოში გამართული ერთ-ერთი საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეებს.

რეაქციის შეთქმულება ჩაიშალა. იკედას მთავრობამ ვერ გაატარა კანონპროექტი პარლამენტის ამას წინათ დამთავრებულ სესიაზე. მაგრამ რეაქციონერი დეპუტატების დახმარებით მთავრობამ მიაღწია იმას, რომ კანონპროექტის განხილვა პარლამენტის შემდეგ სესიაზე განახლდება.

აგოგოკრეგული იაპონია

გულითადი მიწვევა

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ, სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის ინგლისის საზოგადოებამ და ასოციაციამ „დიდი ბრიტანეთი-სსრ კავშირი" გაუგზავნეს საზოგადოება „სსრ კავშირი-დიდ ბრიტანეთს" კოსმონავტ ი. ა. გაგარინს სახელზე გულითადი მიწვევა, რომ ესტუმროს დიდ ბრიტანეთს.

ასოციაცია „დიდი ბრიტანეთი-სსრ კავშირის" დეპეშაში ნათქვამია, რომ ი. ა. გაგარინის ვიზიტი ინგლისში დიდ წვლილს შეიტანს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების საქმეში. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩი მეგობრები.

ფოტოეტიუდი ხ. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა)

ტელეგრაფი გვაცნობებს

△ **მელბურნში** დამთავრდა ყოველწლიური საერთაშორისო კინოფესტივალი. ნაჩვენები იყო ბევრი ქვეყნის ფილმები. საბჭოთა კინემატოგრაფია წარმოდგენილი იყო ფილმებით: „ძაღლიანი ქალი", „თეთრი დამეები", „სერიოჟა". მელბურნის ფესტივალს წმინდა გასაცნობი ხასიათი აქვს და ამიტომ მისი ორგანიზატორები არ აწესებენ პრემიებსა და ჯილდოებს. მელბურნის პრესა კომენტარს უკეთებს ფესტივალის შედეგებს და უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს საბჭოთა ფილმებს.

△ **საერთაშორისო** კინოფესტივალი გაიმართა ბეირუთში. აჯამებს რა მის შედეგებს, ბეირუთის პრესა განსაკუთრებული აღფრთოვანებით აღნიშნავს საბჭოთა ფილმს „ქალიშვილთა გაზაფხულს". „ეჭვს გარეშეა, — წერს გაზეთი „ორიანი", — ეს სეზონის საუკეთესო, მუსიკალური ფილმია". პრესა დადებით შეფასებას აძლევს აგრეთვე ფილმებს, რომლებიც ფესტივალზე წარმოადგინეს პოლონეთმა, ბულგარეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, იტალიამ და საფრანგეთმა.

△ **ბუდაპეშტის** საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა საუნიკოპოსოს თანამშრომლის გეზა ხავაშისა და მისი ათი თანამშრომელის საქმეზე. ისინი მსჯავრდადებული არიან უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობისათვის. სასამართლომ დამნაშავეებს მიუსაჯა სხვადასხვა ვადის პატიმრობა 2,5 წლიდან 8 წლამდე.

△ **ასოშიეიტედ** პრესის საagენტის კორეს პონდენტი კიტოდან (ეკვადორი) იუწყება, რომ, როცა ედლაი სტივენსონი იქ ჩავიდა ოფიციალური ვიზიტით, მას აეროდრომზე შეხვდა „ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ მინისტრები, ამერიკის საელჩოს თანამშრომლები, ამერიკული სკოლის მოსწავლეები და პოლიციელები ბრანტსპორტებით მღელვარების შემთხვევისათვის".

△ **რკინიგზის** კატასტროფის დროს, რომელიც მოხდა ქალაქ ვიტრიოლე-ფრანსუას რაიონში (მარნის დეპარტამენტი, საფრანგეთი), დაიღუპა 23 და დაშავდა 150-ზე მეტი მგზავრი.

ქრონიკა

ევროპის ჩემპიონთა თასზე

როგორც ვიუწყებოდით, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში ერთმანეთთან შეხვედრა ერგოთ მადრიდის „რეალსა" და რიგის არმიის სასპორტო კლუბის კალათბურთელ ჯაეთა გუნდებს.

მოწინააღმდეგენი შეთანხმდნენ მათი ორივე მატჩი გამართულიყო ნეიტრალურ მოედნებზე პარიზსა და პრაღაში. და აი ეს გუნდები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პარიზში. მატჩი დამთავრდა „რეალის" გამარჯვებით 78:75. მეორე მატჩი შედგება დღეს პრაღაში.

კალათბურთელთა ტურნირი ბულგარეთში

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი სოფიაში ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს **მ. ამნიაშვილს.** მან გვაცნობა:

აქ, სოფიაში, მეოთხე დღეა გრძელდება კალათბურთელ ჯაეთა უძლიერესი კოლექტივების ტურნირი. პირველი შეხვედრების მიხედვით სპეციალისტები და ჟურნალისტები პრიორიტეტს ჩინეთის, საქართველოსა და ბულგარეთის გუნდებს ანიჭებენ.

18 ივნისს თბილისის „დინამო" ისაუნებდა. მორიგი მატჩი თბილისელებს ჰქონდათ 19 ივნისს რუმინეთის „დინამოსთან" და გაიმარჯვეს 69:50.

20 ივნისი დასვენების დღე იყო.

შეხვედრები პოლონელ კალათბურთელებთან

პოლონელ კალათბურთელთა პირველმა გამოსვლებმა თბილისის სპორტის სასახლეში მოწონება დაიმსახურა. მათ გამოაძღავნეს კარგ ტექნიკური მომზადება და შესანიშნავი ბრძოლისუნარიანობა.

გასულ კვირადღეს სპორტის სასახლეში სტუმართა წინააღმდეგ თამაშობდნენ თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა და ვაჟთა გუნდები. ქალთა გუნდების ასპარეზობაში გაიმარჯვეს პოლონელებმა 56:50, ვაჟთა გუნდების შეხვედრაში — თბილისელებმა 67:63.

ჩვენი სტუმრები თბილისიდან ფოთში გაემგზავრნენ და გუშინ იქ გამართეს მორიგი საერთაშორისო შეხვედრები.

ორივე მატჩი დამთავრდა სტუმართა სასარგებლოდ. ვაჟებმა მოუგეს თბილისის „სპარტაკს" 75:66, ქალებმა — საბჭოთა უნივერსიტეტის გუნდს 63:34.

ლენინგრადის საფარიკაო ბილიკებზე

ლენინგრადში დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ფარიკაობაში.

უკანასკნელისწინა დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა ასპარეზობამ დაშნით ბრძოლაში ბელორუსიისა და საქართველოს გუნდებს შორის. მცირე უპირატესობით (8:7) გაიმარჯვეს ბელორუსიის მოფარიკაველებმა.

საქართველოს გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა მოსკოვის ძოფარიკაველთა კოლექტივი. მეორე ადგილზე გამოვიდა რსფსრ გუნდი, მესამეზე — საქართველოს გუნდი.

საერთაშორისო შეხვედრები

მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელებთან მატჩის წარმატებით დამთავრების შემდეგ ნორვეგიის საკლუბო გუნდი „გვაეი" საერთაშორისო შეხვედრის გასამართავად ხარკოვში გაემგზავრა. ეს ასპარეზობა შედგა გასულ კვირადღეს. გაიმარჯვა ხარკოვის „ავანგარდმა" 4:1.

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა კოლექტივი ქალაქ როსტოკიდან „ემპორი". გერმანელებმა მორიგი მატჩი გამართეს ვორონეჟში ადგილობრივ „ტრუდთან" და წააგეს შეხვედრა 1:2..

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 20 ივნისი. დღეს აქ გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მეორე წრის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ერევნის „სპარტაკის" გუნდები, შეხვედრის შედეგი 4:1 ცსკა-ს სასარგებლოდ.

„ბ" კლასის გუნდების ასპარეზობა

სოხუმში ადგილობრივი „რიფსა" და ბენდერის „ნისტრელის" მატჩში გაიმარჯვეს სოხუმელებმა ანგარიშით 4:0.

ბათუმში ტირასპოლის „პიშჩევიკისა" და ბათუმის „დინამოს" გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ბრესტში თბილისის „ლოკომოტივისა" და ადგილობრივი „სპარტაკის" ასპარეზობის შედეგია 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

კონგურ-ტიუბე-ტაგი დაიმორჩილეს

კიევი, 19 ივნისი. (საკდესი). ორმა ჩინელმა მთამსვლელმა ქალმა სჩერაბმა და პანტოგმა 17 ივნისს დაიმორჩილეს პამირის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი — კონგურ-ტიუბე-ტაგი (7.595 მეტრი). სჩერაბი და პანტოგი, ეროვნებით ტიბეტელები, ორნი არიან იმ ხუთი ჩინელი სპორტსმენი ქალიდან, რომლებიც კონგურ-ტიუბე-ტაგის საიერიშოდ წავიდნენ. ექსპედიციის უფროსი იუან იანი ასვლის სახელმძღვანელოდ დარჩა საიერიშო ბანაკში 7.300 მეტრ სიმაღლეზე. ლაშქრობის კიდევ ორი მონაწილე ვან ი-ცინი და რაბბიორი უქმეფოდ შეიქნენ და იძულებული გახდნენ ასვლა შეეწყვიტათ 7.560 მეტრ სიმაღლეზე.

ასეთ სიმაღლეზე ჯერ არ ასულა არც ერთი ქალი მსოფლიოში.

„ვოლგა", „მოსკვიჩი" 30 ქაპიკად

ბიათურა, 20 ივნისი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის მაყურებელთა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1961 წლის მეორე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი. ტირაჟზე დასასწრებად თავი მოიყარეს ქალაქისა და მახლობელი რაიონების მშრომელებმა.

დილის 10 საათზე სატირაჟო კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, მშრომელთა დეპუტატების ბიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. სხირტლაძემ.

იწყება ტირაჟი. სატირაჟო ბორბლებიდან ჯიპაურის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები იღებენ ნომრებს. მალე ცხადდება პირველი მსხვილი მოგებები. სამოთახიანი საცხოვრებელი სახლები მოიგეს 72352 სერიის № 130 ბილეთის და 74620 სერიის № 038 ბილეთის მფლობელებმა, ავტომანქანა „ვოლგა" ხვდა 76117 სერიის № 067 და 74674 სერიის № 088 ბილეთებს, ავტომანქანა „მოსკვიჩი" — 71583 სერიის № 208 ბილეთს, 76378 სერიის № 165 ბილეთს, 69860 სერიის № 239 ბილეთს, 74518 სერიის № 112 და 71871 სერიის № 087 ბილეთებს, საწოლი ოთახის გარნიტური — 75106 სერიის № 159, 72965 სერიის № 126 და 70004 სერიის № 177 ბილეთებს, პიანინო — 70286 სერიის № 246 ბილეთს და ა. შ.

სულ ორი დღის განმავლობაში გათამაშდება 337.500 მანეთის 180.000 ფულისა და ნივთების მოგება.

ტირაჟი გრძელდება.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

სპორტის სასახლე

22-25 ივნისს
ყინულის არენა
ფიგურული ციგურაობა

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის საჩვენებელი გამოსვლები.

მონაწილეთა შორის არიან — სსრ კავშირის 1961 წლის ჩემპიონები **ტ. ნემცოვა, ვ. მოშკოვი,** სსრ კავშირის პირველობის პრიზიორები და ევროპის პირველობისა და საერთაშორისო შეჯიბრებათა მონაწილენი **ი. ლიულიაკოვა, ვ. ეფიმენინი, ს. ტარასოვა, ი. გრიშკოვა** და სხვები.

საქართველოს სსრ ნაკრება გუნდის წევრები **ე. პლინერი, ი. ჯაფარიძე, ი. არხანგელსკაია, ტ. ხანიაშვილი** და სხვები.

პროგრამაშია მხატვრული გამოსვლა 2 განყოფილებად.

დასაწყისი 20 საათზე. ბილეთები იყიდება.

... ...